# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 30 აგვისტო 2008 №199 (3423) ფასი 50 თეთრი

# საომარი საქართველოს სათასო და საკუპერო



გუშინ საქართველოში ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი ჩამოვიდა. დღეს არგენტინელი პრესკონფერენციას ჩაატარებს და, რაც მთავარია, ნაკრების საირლანდიო-საიტალიოდ მზადებას იწყებს.

დღესვე ქართული საკლუბო საფეხბურთო სეზონი სათასო მერვედფინალით განახლდება.



# კაცი, რომელმაც ყველაფერი მოიგო



## ის, რაც ბოლოს გამოჩნდა: მანუჩარ კვირკველია ჩემპიონობისთვის მზად იყო

*ინტერვიუ ოლიმპიურ ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიასთან იხილეთ მე-14 გვერდზე*

**ამხანაგური მატჩი**

**ავსტრია 76:74 საქართველო**

25:20 18:16 15:24 18:14

საქართველო: ცინცაძე (24 წუთი, 5 ქულა, 3 პასი), ა. ბოისა (18 წთ. 2 ქ.), სანიკიძე (13 ქ. 19 მ.), ცქიტიშვილი (25 წთ. 20 ქ 9 მ.), ფაჩულია (30 წთ. 9 ქ 3 პ.)
სათადარიგონი: გამყრელიძე (20 წთ. 9 ქ.), ვ. ბოისა (22 წთ. 9 ქ.), შერმადინი (3 წთ. 2 ქ.), ტულუში (14 წთ. 5 ქ.), ტომარაძე (5 წთ.), შენგელია (4 წთ.)

| | | |
|---|---|---|
| 31 | მოხსნა | 21 |
| 11 | პასები | 14 |
| 7 | ჩაჭრები | 11 |
| 18 | დაკარგვა | 11 |
| 2 | დაფარება | 0 |
| 23 | ჯარიმა | 22 |
| 33/21 | ორქულიანები | 39/20 |
| 19/6 | სამქულიანები | 15/5 |
| 19/14 | საჯარიმოები | 29/21 |

გუშინ საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და არცთუ ღონიერ ავსტრიასთან 2 ქულით დამარცხდა. მოგეხსენებათ, ბოლო კვირებში ჩვენი ნაკრების მატჩები უკრაინასთან, საფრანგეთთან, ჩეხეთთან, ლატვიასთან და ახლა ავსტრიასთან იმ მიზანს ისახავს, რომ სექტემბერში ჩასატარებელი ევროშესარჩევი მატჩებისთვის ქართველები კარგად მოემზადონ.

# რუსების მუტკომპანია

## არასწორი ტრაექტორია ტრაქტორით სწორდება

სამი დღის წინ იყო, რუსულმა „ნტვ ფუტბოლმა" ზარზეიმით რომ ამცნო მაყურებელს, ქართველებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, უეფამ მათი მოთხოვნა, რუსეთ-საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარების თაობაზე ყურად არ ილო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების მოსკოვში ჩაუსვლელობის და მატჩის ჩაშლის შემთხვევაში სანქციებით დაემუქრაო.

როგორც უამრავი რამ, ეს ინფორმაციაც სიცრუე გამოდგა და ამის თაობაზე ხუთშაბათის „სარბიელში" გვეწერა.

გუშინ კი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ ისეთი რამ თქვა, გონიერი ადამიანი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს: იძულებულები ვართ, უეფას გადაწყვეტილებას დავემორჩილოთ, მაგრამ თამაში მაინც მოსკოვში უნდა ჩატარდესო.

ამ ფრაზის პირველ ნაწილში სიმართლეა ნათქვამი — დიახ, უეფამ ოფიციალურად განაცხადა, რომ არსებული ვითარების გამო საქართველოს ნაკრების მოსკოვში ჩასვლა მიზანშეუწონელია და ეს თამაში ნეიტრალურ მოედანზე უნდა გაიმართოს! ფრაზის მეორე ნაწილი კი... თუკი რუსები უეფას გადაწყვეტილებას ემორჩილებიან და, კაცმა რომ თქვას, სხვა რა არჩევანი აქვთ, თამაში მაინც მოსკოვში უნდა გაიმართოსო, ძალიან, ძალიან გონებაშეზღუდული კაცის განცხადებას ჰგავს...

თუმცა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის გონებაშეზღუდულობაზე ჩვენ მაინცდამაინც ნუ ვინერვიულებთ, მთავარი კი ერთხელაც ვთქვათ: რუსეთი — საქართველო ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება და ეს ნეიტრალური მოედანი მინსკის „ტრაქტორია".

# მაინც მაინცი

## საქართველო — ირლანდია რაინის მიწაზე



საქართველო — ირლანდიის 6 სექტემბრის მატჩი არა კარლსრუეში, არამედ მაინცში გაიმართება. კარლსრუეს „ვილდპარკშტადიონი" თითქოს გადაწყვეტილი იყო — ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამაც გვითხრა, თუმცა „კარლსრუეს" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თქვა, 9 დღე ცოტაა ამ მატჩისთვის მოსამზადებლადო და თავაზიანი უარიც განაცხადა.

სფფ მაინცს გერმანიის ქალაქებიდან მეორე ვარიანტად განიხილავდა.

მოკლედ, საბოლოოდ გადაწყდა და ფიფამაც დაამტკიცა, რომ ჩვენები ირლანდიელებს მაინცის 20300-იან „ბრეხვეგშტადიონზე" უმასპინძლებენ.

მაინცი გერმანიის სამხრეთ-დასავლეთში, რაინის მიწაზეა. პატარა, 200-ათასიანი ქალაქია, კარლსრუედან ოდნავ ჩრდილოეთით.

ნაკრების მომზადების გეგმა კი არ იცვლება: 6 სექტემბერს, ნამატჩევს ექტორ რაულ კუპერი და მისი რაზმი მაინციდან ჩავა უდინეში, სადაც 10 სექტემბერს იტალიას შეერკინება.

**ილია ნანობაშვილი**

# მუტკო ისევ მოსკოვში თამაშობს

## უეფამ თქვა: რუსეთი — საქართველო ნეიტრალურზე

ესეც ასე: უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წერილი გულდასმით წაიკითხა და ის გადაწყვეტილება მიიღო, რაც უნდა მიეღო: 5 სექტემბერს რუსეთ — საქართველოს 21-წლამდელთა ევროშესარჩევი მატჩი ნეიტრალურ სტადიონზე გაიმართება.

აშკარაა, რუსები არ ელოდნენ უეფასგან ასეთ პასუხს. რუსეთის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდზე წერია, უეფაში გაგზავნილი წერილი არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, არამედ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროშია დაწერილი, იმდენად არასაფეხბურთო ტერმინოლოგიააო.

ამას თვითონ რუსული ფეხბურთის მამა ვიტალი მუტკო ამბობს: „ეს უკვე სპორტი კი არა, მთლიანად პოლიტიკაა. მე წავიკითხე ქართველების წერილი და მასში ფეხბურთს გვერდი აქვს ავლილი. აშკარაა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაწერეს და ფედერაციაში, უბრალოდ, დადეს. იძულებულნი ვართ, უეფას დავემორჩილოთ და ნეიტრალურ სტადიონზე ვითამაშოთ, მაგრამ ჩვენი პოზიცია შეუცვლელია: მატჩი მოსკოვში უნდა გაიმართოს".

მუტკოს ბოლო სიტყვებს, ალბათ, ვერავინ გაიგებს...

რუსები იმ წერილის ამონარიდსაც გვთავაზობენ, რომელიც ნოდარ ახალკაცმა გაუგზავნა უეფას: „საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიაზე მთელმა მსოფლიომ იცის. რუსული ტანკები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას განაგრძობენ. საომარი მდგომარეობა კვლავ ძალაშია. რუსული ჯარები უდანაშაულო მოქალაქეებს ატერორებენ და მარადიორობენ".

მოკლედ, საბედნიეროდ, უეფამ შესასმენი შეისმინა და მონაკოში გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა — თამაში იქნება ნეიტრალურზე და ეს ვერდიქტი საბოლოოა.

ნეიტრალური მოედნის არჩევანი კი რუსეთზე იყო და უკვე აირჩიეს: მატჩი მინსკის „ტრაქტორის" სტადიონზე გაიმართება. ცხადია, თარიღი და დრო არ შეცვლილა — 5 სექტემბერი, 18 საათი.

„ტრაქტორი" მინსკის „მტზ-რიპოს" საშინაო სარბიელია და 17 600 გულშემატკივარს იტევს.

და ერთიც, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსი კი აქვს, თუმცა პლეი ოფს ველარ მიუწევს: ათი ჯგუფიდან გამარჯვებულები და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადის, საქართველო კი მაქსიმუმ 12 ქულის დაგროვებას შეძლებს ჯგუფში და ამაზე უკეთესი მაჩვენებლები უკვე 6 ჯგუფის შესაძლო მეორეადგილოსანს აქვს.

თუმცა სატურნიროო მდგომარეობა ბევრს არ ცვლის: რუსეთი — საქართველოა და ამით ყველაფერი ნათქვამია...

**ილია ნანობაშვილი**



# სტუკალოვის სია

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 5 სექტემბერს საქართველოსთან და 9 სექტემბერს ესპანეთთან ჩასატარებელი მატჩებისთვის შემადგენლობა გამოაცხადა...

*მეკარეები:* ჯანაევი („სპარტაკი"), შუნინი („დინამო");

*მცველები:* გრანატი („დინამო"), კუდრიაშოვი („ხიმკი"), ლუკანჩენკოვი („ურალი"), ლებედევი („ნოსტა"), ნაბაბკინი („მოსკვა"), იატჩენკო („ნალჩიკი");

*ნახევარმცველები:* ბაკაევი („ალანია"), გლუშაკოვი („ლოკომოტივი"), ძაგოევი (ცსკა), კასაევი („ყუბანი"), დ. კომბაროვი („დინამო"), კ. კომბაროვი („დინამო"), რიაზანცევი („რუბინი"), სამსონოვი („ნალჩიკი"), ტარანოვი („კრილია სოვეტოვი"), ფაიზულინი („ზენიტი"), შიშკინი („სპარტაკი");

*თავდამსხმელები:* ა. დზიუბა („სპარტაკი"), ა. პრუდნიკოვი („სპარტაკი").

**ლუკა თალაკვაძე**



ჯოვანი ტრაპატონი და ლიამ ბრეიდი

# ტრაპატონის საავადმყოფოდან მარჯვენა ხელი გამოუწერეს

ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იტალიელი ჯოვანი ტრაპატონის თანაშემწე ლაიამ ბრეიდი, რომელიც წინა კვირაში გულის ტკივილის გამო დუბლინის საავადმყოფოში დააწვინეს, უკვე გამოწერეს.

„ყველაფერი წესრიგშია და სამუშაოს ვუბრუნდები. ტკივილები მკერდის და ზურგის არეში მაწუხებდა. საბედნიეროდ, საგანგაშო არაფერი აღმოჩნდა" — განაცხადა 52 წლის ბრეიდმა.

შეგახსენებთ, რომ 6 სექტემბერს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის პირველ მატჩს ჩაატარებს ირლანდიის ნაკრებთან.

„სამყურების" თავკაცმა უკვე დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 6 სექტემბერს საქართველოსთან და 10 სექტემბერს ჩერნოგორიასთან მატჩებისთვის მოემზადებიან...

*მეკარეები:* შეი გივენი („ნიუკასლი", ინგლისი), დინ კელი („ვესტ ბრომვიჩი", ინგლისი);

*მცველები:* ალექს ბრიუსი („იფსვიჩი", ინგლისი), დემიენ დელენი („ქუინზ პარკი", ინგლისი), რიჩარდ დანი („მანჩესტერ სიტი", ინგლისი), სტივ ფინანი („ლივერპული", ინგლისი), სტივენ კელი („ბირმინგემი", ინგლისი), კევინ კილბეინი („უიგანი", ინგლისი), ჯონი ობრაიენი („ბოლტონი", ინგლისი), ჯონ ოში („მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), პოლ მაკშეინი („სანდერლენდი", ინგლისი);

*ნახევარმცველები:* სტივენ ჰანტი („რედინგი", ინგლისი), ეიდენ მაკგიდი („სელტიკი", შოტლანდია), ლაიამ მილერი („სანდერლენდი", ინგლისი), ენდი რიდი („სანდერლენდი", ინგლისი), სტივენ რიდი („ბლექბერნი", ინგლისი), გლენ ველანი („სტოკ სიტი", ინგლისი);

*თავდამსხმელები:* კევინ დოილი („რედინგი", ინგლისი), რობი კინი („ლივერპული", ინგლისი), ენდი კოვი („ვულვერჰემპტონი", ინგლისი), შეინ ლონგი („რედინგი", ინგლისი), დერილ მერფი („სანდერლენდი", ინგლისი).

**ბახა შალამბერიძე**

## geo_geo_fan@hotmail.com

# რაღა დროს ირლანდიაა?!

**PARTISAN777:** გასაგები მიზეზების გამო საფეხბურთო საკითხების გაანალიზების ხალისი არავის აქვს, თუმცა ერთ რამეზე მინდა, გავიგო თქვენი და გულშემატკივრების აზრი. მანამდე კი მადლობა მინდა ვუთხრა ნაკრების ფეხბურთელებს უელსთან მოგებისთვის.

რაც შეეხება მომავალ შეხვედრებს — რაღა დროს ირლანდიაა?!

რადგანაც რუსებთან ახალგაზრდულის თამაში გადაწყდა, ჩემი აზრით, ყველა ის 21-წლამდელი ფეხბურთელი, რომელიც ეროვნულში გამოძახებული, სასწრაფოდ უნდა დაუთმონ ახალგაზრდულს. იქ არის მთავარი ომი და საუკეთესო მებრძოლები იქ უნდა იყვნენ!

23 ივლისიდან გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები.

დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფი, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტის მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად შეუძლიათ, შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურა.

სამივე სახის აბონემენტების მფლობელები უფასოდ დაესწრებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო ამხანაგურ მატჩებს.

აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

### მერვედფინალი. პირველი მატჩები

30 აგვისტო

**დინამო — თბილისი**
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. მიქელაძე, დ. კურტანიძე, თ. გვანცელაძე

**ზესტაფონი — ჩიხურა**
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, დ. სანაია

**ლოკომოტივი — ჭიათურა**
მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. ბერულავა, თ. ხუჭუა, ვ. გუმბერიძე

**მერანი (მ) — სპარტაკი**
მსაჯები: გ. დოგრაშვილი, გ. ჩიგოგიძე, დ. სანოძე, ჯ. ბუიშვილი

31 აგვისტო

**ამერი — გურია**
მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ა. კრიჭაშვილი

**ოლიმპი — ბაია**
მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, გ. ყრუაშვილი, მ. ურუშაძე

**სიონი — კოლხეთი**
მსაჯები: ლ. სილაგავა, ბ. ჭიჭინაძე, ზ. ხუციშვილი, ზ. ასკაროლლი

1 სექტემბერი

**ვიტ ჯორჯია — სამტრედია**
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. გუნთაძე

# შავები შავი ოქროს ქალაქში

## ჭიათურას ბრუსლი მოჰყავს, დინამო კი კრშკოს კარგავს?

**უმძიმესი** დღეები გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ. რუსული ჯარის დაუნდობელმა საქციელმა ბევრი ქართველი გაანადგურა და ასეთ დროს, აბა, ვის ეფეხბურთებოდა.

მტრის არმიის ნაწილი კვლავაც რჩება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა ძველებური აგრესიით აღარ გამოირჩევიან და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამაც გადაწყვიტა, რომ დღეს, ხვალ და ზეგ თასის მერვედფინალური მატჩები ჩატარდეს.

რა თქმა უნდა, უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად იქნება გამკაცრებული.

გეცოდინებათ, მერვედფინალში 9 პირველლიგელი გავიდა, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. ეს იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ უმაღლესისა და პირველი ლიგების გუნდები დონით დიდად აღარ განსხვავდებიან და ეს სასიხარულო კი არა, საგანგაშო უფროა. ჩვენი ჩემპიონატის დონე თანდათან უკან მიდის, დღითიდღე უფრო მეტად ღატაკდებიან კლუბები და სადაც ფინანსურად ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა, ფეხბურთელებიც იქ მირბიან. გაივსო უზბეკეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი ჩვენიანებით.

ქართული ფეხბურთის მამებმა და მთლიანად სახელმწიფომ თუ მალე რაღაც არ იღონეს, შედეგი მთლად სავალალო იქნება.

ასეთია რეალობა და ახლა მერვედფინალურ წყვილებზეც ვთქვათ...

ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ დიღმის ბაზაზე პირველლიგელ „თბილისს“ ხვდება და, ალბათ, მეოთხედფინალში გასვლას დღესვე გაინაღდებს.

დინამოელებს დაუბრუნდათ გერმანელი მთავარი მწვრთნელი რაინერ ცობელი, რომელიც ომიანობის დროს რამდენიმე დღით სამშობლოში წავიდა.

აქ არიან კამერუნელი დონალდ დერინგ ჯიუსი და ჩერნოგორიელი ილია სპასოევიჩიც. რაც შეეხებათ სხვა ლეგიონერებს, ისინი ჯერ არ ჩქარობენ საქართველოში დაბრუნებას და, როგორც შევიტყვეთ, მილოშ კრშკოს ჩვენს ქვეყანაში ხილვის პერსპექტივაც უფრო და უფრო ნაკლებია.

„ზესტაფონი“ სრული შემადგენლობით ემზადება საჩხერის „ჩიხურასთან“ სათამაშოდ. თემურ მახარაძემ გუშინ ჩაიყვანა გუნდი თბილისიდან ზესტაფონში.

ომის დროს ბრაზილიელებმა, ჟონატას ტორესმა, ჟილვან ვიეირამ და ედსონ სანტოსმა თავი სარფს შეაფარეს, ახლა კი გუნდთან ერთად არიან.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ იმერლების თქმით, კამერუნელებს, ბოიომო ფრიდოლინის და ერიკ რომეო ჩასემს საქართველოდან წასვლაზე არც უფიქრიათ.

თბილისის „ლოკომოტივი“ „ჭიათურას“ დაუხვდება. სხვათა შორის, ზემოიმერლებსაც ჰყავთ ორი კამერუნელი — ნდონი ნგოკო და ისააკ ბრუსლი.

მარტვილის „მერანი“ კი დღეს ცხინვალის „სპარტაკს“ უმასპინძლებს. ამ გუნდების პირველი შეხვედრა გორში უნდა გამართულიყო, მაგრამ გასაგებ მიზეზთა გამო, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მასპინძელი შეცვალა.

ხვალ სამი მატჩი გაიმართება: თბილისის „ამერი“ ლანჩხუთის „გურიას“ დაუპირისპირდება, რუსთავში „ოლიმპი“ ზუგდიდის „ბაიას“ დაუხვდება; მეგრელებთან ექნება შეხლა მეორე ქვემოქართლურ გუნდ ბოლნისის „სიონსაც“ — მისი მეტოქე ფოთის „კოლხეთია“.

1 სექტემბერს კი „მიხეილ მესხზე“ მერვედფინალის ბოლო შეხვედრა გაიმართება — უეფას თასიდან ახლახან გავარდნილი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ „სამტრედიას“ უმასპინძლებს.

ერთიც: ყველა მატჩი 16 საათზე დაიწყება, გარდა „დინამო“ — „თბილისის“ შეხვედრისა, რომელიც 17 საათზეა დაგეგმილი.

**ნუკრი ლოლაძე**

## უეფას თასი 2008-2009

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

# ვიტ ჯორჯიამ ქართული ევროპა ავსტრიაში დახურა

ვენა. 28 აგვისტო. 21.30 საათი. ჰორ-შტადიონი. 6 181 მაყურებელი

### ავსტრია 2:0 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 1:0 პატენბერგერი (26), 2:0 ოკოტი (73) | |
| **ავსტრია:** შაფარი, კრამერი, შიმერი, ბაკი (მადლი 86), მაისტოროვიჩი, პატენბერგერი, ბლანშარი, სულიმანი, აჩიმოვიჩი (ჟრანგი 82), დიაბანგი (ზაზინა 76), ოკოტი. *სათადარიგონი:* ალმერი, მეტცი, ნეტცერი, დრაგოვიჩი. **მწვრთნელი:** კარლ დაქსბახერი | **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, ბეჭვაია, რაზმაძე, გ. მელქაძე (მაისაშვილი 89), გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (კვალიძე 80), ლიპარტია, ვ. კვარაცხელია (ლუჭაშვილი 64). *სათადარიგონი:* მიქაბერიძე, ბერიაშვილი, ხურცილავა, ყველაშვილი. **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე |
| **გაფრთხილება:** ლომაია (21), კვარაცხელია (45), კრამერი (65), დიაბანგი (75) | |
| **მსაჯები:** ჯ. ატარდი, ჩ. მიკალეფი, ე. სპიტერი, პ. კარუანა (ყველა მალტა) | |
| **უეფას დელეგატი:** მ. კაზანჩოღლუ (თურქეთი); **დამკვირვებელი:** ვ. კლარკი (ჩრდ. ირლანდია) | |

**თბილისის** „ვიტ ჯორჯიამ“, მიუხედავად დიდი მონდომებისა, თავს ზემოთ ახტომა ველარ მოახერხა და ბოლო ქართული კლუბიც გამოეთიშა ევროთასს.

მიუხედავად იმისა, რომ ვიტელებზე ომიანობისას წვრთნა არ შეუწყვეტიათ, მაინც ძნელი იყო „ავსტრიასთან“ მატჩისთვის სათანადოდ მომზადება და სიმართლე ვთქვათ — თბილისელებს ავსტრიული ბარიერის გადალახვის ძალიან მცირე შანსი ჰქონდათ.

ნესტორ მუმლაძის შეგირდებს ცდა არ დაუკლიათ, თუმცა ძალა აღმართს ხნავს.

„ავსტრიამ“ თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა. მე-12 წუთზე გრიგოლ ბედიაშვილმა ოკოტის შორეული დარტყმა გააუვნებლა, 26-ე წუთზე კი უძლური აღმოჩნდა — დიაბანგის დარტყმული მოიგერია, მაგრამ დამატებაზე პატენბერგერმა ივარგა და „ავსტრია“ დააწინაურა.

ქართველები კონტრშეტევაზე თამაშს ცდილობდნენ და ერთ ასეთ მცდელობას ხელსაყრელი მომენტიც მოჰყვა. გიორგი დათუნაიშვილმა მეტოქის პასი ჩაჭრა და ტანმორჩილი ჯაბა ლიპარტია მოძებნა, რომელმაც, სამწუხაროდ, ხეირიანი დარტყმა ვერ შეძლო.

ჩვენებმა მეორე ნახევარი უკეთ დაიწყეს და ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ირაკლი კლიმიაშვილმა კოხტად ჩამოიცილა ორი ავსტრიელი და ვახტანგ კვარაცხელიას ჩააწოდა, რომლის თავურიც საგოლე ვერ გამოდგა.

„ავსტრიას“ ის ერთი ბურთიც ჰყოფნიდა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად, თუმცა ისინი შეტევებს აგრძელებდნენ და 79-ე წუთზე გაზარდეს კიდეც სხვაობა — ოკოტიმ კარგად გაითამაშა ბურთი მაისტოროვიჩთან და აუღელვებლად გაიტანა — 2:0.

**ლუკა თალაკვაძე**



გიორგი დათუნაიშვილის (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯია“ „ავსტრიასთან“ ვეღარას გახდა

# ფანჯარა 13 სექტემბერს დაიხურება

**ფეხბურთელების** საჩემპიონატო განაცხადში შეყვანის ბოლო ვადა 31 აგვისტოს იწურებოდა, თუმცა ბოლო დროს საქართველოში მომხდარმა მოვლენებმა, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას რამდენიმე ცვლილების განხორციელებისკენ უბიძგა. ამგვარად, გადაწყდა, რომ წლეულს სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს ნაცვლად 13 სექტემბერს დაიხურება.

**ბაჩა შალამბერიძე**

# პლამენ მარკოვის საჩერნოგორიო გუნდი

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ბულგარეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პლამენ მარკოვმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც 6 სექტემბერს სტუმრად ჩერნოგორიასთან სათამაშოდ მოემზადებიან.

ბულგარელთა თავკაცმა არჩევანი ამ ფეხბურთელებზე შეაჩერა:

*დიმიტარ ივანკოვი („ბურსასპორი“, თურქეთი), სტოიაკ კოლევი („ოცელული“, რუმინეთი); ჟივკო მილანოვი („ლევსკი“), ლუსიო ვაგნერი („ლევსკი“), სტანისლავ მანოლევი („ლიტექსი“), იველინ პოპოვი („ლიტექსი“), ალექსანდ ტუნჩევი („ლესტერი“, ინგლისი), ვალენტინ ილიევი („ტერეკი“, რუსეთი), იგორ ტომაშიჩი („მაკაბი“, ისრაელი), ივან ივანოვი (ცსკა), სტანისლავ გენჩევი („ვასლუი“, რუმინეთი), სტანისლავ ანგელოვი („კოტბუსი“, გერმანია), დიმიტარ რანგელოვი („კოტბუსი“, გერმანია), სტილიან პეტროვი („ასტონ ვილა“, ინგლისი), ჩავდარ იანკოვი („ჰანოვერი“, გერმანია), ველიზარ დიმიტროვი („მეტალურგი“, დონეცკი, უკრაინა), ბლაგოი გეორგიევი („სლავია“), ზდრავკო ლაზაროვი („შინიკი“, რუსეთი), მარტინ პეტროვი („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), დიმიტარ ბერბატოვი („ტოტენჰემი“, ინგლისი).*

ბულგარელები ჩერნოგორიას ქალაქ პოდგორიცეში გაეჯიბრებიან.

**ბაჩა შალამბერიძე**

# მალხაზ ასათიანი: უელსში თავდაჯერება შევიმატეთ

## გუნდში ურთიერთობა არავისთან გამფუჭებია



8 აგვისტოდან საქართველოს მშვიდი ძილი არ აქვს, რუსეთის აგრესია ზღვარგადასულ სახეს იღებდა და, ცხადია, სხვებზე ნაკლები შფოთი არც რუსეთში მცხოვრებ ქართველებს ჰქონდათ — ამ შემთხვევაში ჩვენს ლეგიონერებს ვგულისხმობთ, კერძოდ, მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველ მალხაზ ასათიანს. თუმცა, საბედნიეროდ, „ასათას“ რუსებისგან შებოჭვა არ უგრძვნია და ეს შეგვიძლია ვთქვათ რუსეთში მოთამაშე სხვა ჩვენიანებზეც.
ეს კარგია, ფეხბურთი ქვეყნის ერთ-ერთი სახეა და კარგი იყო 20 აგვისტოც, როცა საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურში სტუმრად უელსს სძლია, თუმც უფრო ხმაურიანად წარმოჩენის შანსი 6 და 10 სექტემბერს არის — 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლი იწყება...

— უელსთან გამარჯვებით ქართველმა ხალხმა ძალიან გაიხარა. რას იტყვი იმ თამაშზე, როგორ შეაფასებ? — ვკითხეთ ასათიანს, რომელსაც მოსკოვში დავუკავშირდით.

— მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდით. როგორც ტრადიციად გვექცა, უელსშიც ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა, თან ოჯახის, ნათესავ-მეგობრების, მთლიანად საქართველოს დარდი გვქონდა და დაძაბულები ვიყავით. კმაყოფილი დავრჩი, მოვიგეთ და იმ დღეს მთავარი სწორედ ეს იყო. თამაშიც ნორმალურად გამოგვივიდა, განსაკუთრებით, მეორე ტაიმში.

— საქართველოში შექმნილი საომარი მდგომარეობა ფსიქოლოგიურად ცუდად მოქმედებდა თუ პირიქით, ბრაზს გმატებდათ?

— ვცდილობდით, თამაშისას ამაზე არ გვეფიქრა. ჩვენი საქმე უნდა შეგვესრულებინა. მგონი, ფეხბურთელებს სამშობლოს გარედანაც შეგვიძლია ხალხის გახარება.

— აშკარად ჩანდა უელსელი ქომაგების თქვენდამი კეთილგანწყობა.

— დიახ, ეს შეიმჩნეოდა. ბრიტანელი ფანების ამბავი ყველამ იცის, იმ დღეს კი ძალიან წყნარები მოგეჩვენნენ. ამას გარდა, ტრიბუნებზე ქართული დროშები რომ დავინახეთ, შემართება მოგვემატა.

— ექტორ რაულ კუპერზე რას იტყვი? მართალია, უელსში მოხდა თქვენი გაცნობა, მაგრამ პირველი შთაბეჭდილებები...

— ჯერ ძალიან ძნელია კუპერზე ლაპარაკი. ისე კი, ძლიერი მწვრთნელი რომ არის, ამას თქმა რად უნდა. უელსთან ძალიან კარგად მოგვამზადა ტაქტიკურად. საერთოდ, ტაქტიკას დიდ ყურადღებას აქცევს.

— უელსი კი, მაგრამ ირლანდია უფრო ძლიერი გუნდია და ის თამაში, რაც სუონსში იყო, დამეთანხმები, 6 სექტემბერს შეიძლება, საკმარისი არ იყოს წარმატების მისაღწევად...

— პირველ რიგში, ცუდია, რომ თამაში თბილისში არ გაიმართება: ეს ირლანდიისთვის პლუსია. შიზანი მაინც ერთი გვაქვს: უნდა მოვიგოთ! უელსში კმაყოფილები დავრჩით და იმედიანადაც დავშორდით ერთმანეთს.

— საკუთარ თამაშზე რას იტყვი?

— რეგულარულად ვეღარ ვხვდები „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში და ეს ჩემს სათამაშო ფორმას ეტყობა. ვიცი, რომ ჩვეულ ფორმაში არ ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი გამოსწორდება.

— „ლოკომოტივიდან“ შენს წასვლაზე ადრე ხშირად ლაპარაკობდნენ, თუმცა ბოლოს აღარაფერი ისმის...

— ჯერჯერობით ეს საკითხი არ განიხილება.

— რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს გვერდს ვერ ავუვლით: „ლოკომოტივში“ ამის გამო ურთიერთობა ხომ არ გაგფუჭებია ფეხბურთელებთან?

— არანაირად. რუსი იქნება თუ სხვა ეროვნებისა, ყველა თანამიგრძნობს. არ მესმის, როგორ შეიძლება, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი პოლიტიკის გამო წაეკიდოს ადამიანს, რომელთანაც 5-6 წელია მეგობრობს. გუნდში არანაირი აგრესია არ მიგრძვნია.

— კეთილი. გუნდში არა, მაგრამ ქალაქში, ქუჩაში?

— არა. ასეთი რამ არ მომხდარა... საერთოდაც, რახან რუსეთში ვთამაშობ მეც და სხვა ქართველებიც, ნურავის ეგონება, რომ ვინმეზე ნაკლებად გვიყვარს საქართველო და ვინმეზე ნაკლებად შეგვტკივა გული. კარგი იქნება, თუ რუსეთში ჩვენს ყოფნას ვილაც-ვილაცები ცუდ კუდებს არ გამოაბამენ.

— 5 სექტემბერს რუსეთ-საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები რომ ბელარუსში ითამაშებენ, გეცოდინება. შენი აზრით, მოსკოვში რომ ყოფილიყო მატჩი, უსაფრთხო იქნებოდა?

— რადგან უეფამ გადაწყვიტა და ბელარუსში გადაიტანა ეს თამაში, ესე იგი, ასე იყო საჭირო. თვითონ ფეხბურთელებს შორის, იმედია, ისეთი არაფერი მოხდება და არც უნდა მოხდეს. მჯერა, რომ ისინი ერთმანეთს პატივს ცემენ და პროვოკაციებზე არ წავლენ...

მე ერთი ფეხბურთელი ვარ და ჩემ მიმართ აგრესია რუსებს არ გამოუხატავთ, აი, საქართველოს ნაკრები რომ ჩამოვიდოდა, არ ვიცი, რა რეაქცია მოჰყვებოდა ამას. ყოველ შემთხვევაში, თამაში უკვე მინსკშია დანიშნული და ამ თემაზე ლაპარაკსაც არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. იმედი მაქვს, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის.

**ილია ნანობაშვილი**

# აი, ასეთი ანო...

## ქეცბაია კვიპროსულ ფეხბურთს ახლიდან წერს



**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი“ კვიპროსული ფეხბურთის ისტორიაში პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

ფამაგუსტელებს ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ შინ 3:0 ჰქონდათ მოგებული, სტუმრად კი 0:1 დამარცხდნენ.

„ანორთოსისში“ მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია კლიმენტი წიტაიშვილს.

ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩა ლევან კობიაშვილის და ლევან ყენიას „შალკე“, რომელმაც მადრიდის „ატლეტიკოს“ შინ 1:0 მოუგო, სტუმრად კი 0:4 განადგურდა.

კობიაშვილი ძირითად შემადგენლობაში გახლდათ და 65-ე წუთზე შეცვალეს, ყენია კი განაცხადში ვერ მოხვდა.

ვერ იყოჩაღა ლიტვურმა „კაუნასმაც“ — დანიურ „ოლბორგთან“ მეორე მატჩიც წააგო (0:2).

ნუკრი მანჩხავამ სრულად ითამაშა, აკაკი ხუბუტია კი არ გამოჩენილა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# უეფამ ქართველები აღარ მიიკარა...



გრაცელები უეფას თასს გამოეთიშნენ

**გიორგი შაშიაშვილის** და ილია კანდელაკის „შტურმი“ უეფას თასის გათამაშებას დაემშვიდობა.

გრაცელებმა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა. შვეიცარიაში „ციურიხთან“ 1:1 დაასრულეს, შინაც იგივე შედეგი აჩვენეს და პენალტების სერიაში 2:4 წააგეს.

ქართველებმა სრულად ითამაშეს — კანდელაკი მარცხენა მცველი იყო, შაშიაშვილი კი მარჯვენა.

ორივემ ყვითელი ბარათი მიიღო.

ტურნირს გამოეთიშა ჯაბა კანკავას და სანდრო კობახიძის უკრაინული „დნიპროც“ — შინ 3:2 მოგების შემდეგ სტუმრად შვეიცარიულ „ბელინცონასთან“ 1:2 წააგო.

ქართველი ფეხბურთელები განაცხადში არ იყვნენ.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კუპერი თბილისშია



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი თბილისში ჩამოვიდა და დღეს, 15 საათზე პრესკონფერენციას გამართავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში.

კუპერი უელსთან 20 აგვისტოს ამხანაგური მატჩის (2:1) შემდეგ პირველად შეხვდება ქართველ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ დღე-დღეზე ჩვენი ეროვნული გუნდი ირლანდია-იტალიასთან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის მზადებას დაიწყებს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# დენდერმა ჯერჯერობით ცხადაია გაიფორმა

**ბელგიურ** „დენდერში“ რომ „გაგრას“ სამი ფეხბურთელი ისინჯებოდა, ეს გეცოდინებათ.

ნახევარმცველმა გიორგი ცხადაიამ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა იოჰან ბოსკამპის გუნდთან, პლუს, ხელშეკრულების შესაძლო გაგრძელებით.

ფორვარდ ზურაბ ძაგანიას ბელგიელები სექტემბრის ბოლომდე კიდევ დააკვირდებიან, ხოლო მცველ გიორგი ქერივიშვილის ტრანსფერი ალბათ აღარ შედგება.

**ილია ნანობაშვილი**

# ხიზანიშვილი მეორე ეტაპზე

**ინგლისის** ლიგის თასის პირველ ეტაპზე ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“ „გრიმსბი“ 4:1 გაანადგურა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა სრულად ითამაშა.

**ბაჩა შალამბერიძე**

| III ტური |
| --- |
| **გუშინ** |
| კარლსრუე — კიოლნი |
| იხ. ბოლო გვერდზე. შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის |
| **დღეს** |
| შალკე — ბოხუმი |
| ვოლფსბურგი — აინტრახტი |
| ლევერკუზენი — ჰოფენჰაიმი |
| კოტბუსი — დორტმუნდი |
| არმინია — ჰამბურგი |
| გლადბახი — ვერდერი |
| **ხვალ** |
| ბაიერნი — ჰერტა |
| შტუტგარტი — ჰანოვერი |

# გერმანია

## ჭკვიანები ჰოფენჰაიმიდან

**ბუნდესლიგაში** პირველად გადმობრძანებული „ჰოფენჰაიმი“ ორი ტურის შემდეგ ცხრილის თავში მოექცა. ლიდერი დღეს „ლევერკუზენს“ ესტუმრება და მასპინძელთა მწვრთნელი ბრუნო ლაბადია ამბობს, მეტოქეს დიდად ვაფასებო: „მე წარმომედგინა, რომ „ჰოფენჰაიმი“ ბევრ ქულას დააგროვებდა ამ სეზონში, მაგრამ რას ვიფიქრებდი, მეორე ტურშივე თუ გალიდერდებოდნენ. „ჰოფენჰაიმმა“ ბოლო ორი წლის განმავლობაში 60 მილიონი ევრო დახარჯა. „ჰოფენჰაიმის“ პრეზიდენტ დიტმარ ჰოფს ხშირად რომან აბრამოვიჩს ადარებენ, მაგრამ ეს არასწორია — თქვა ლაბადიამ — ჰოფენჰაიმში საუცხოო ბაზა შექმნეს. ფული აშკარად დაეხმარა კლუბს, მაგრამ მთავარი მაინც ჭკუ-რვილია“.

„ლევერკუზენს“ გონსალო კასტრო, მეკარე რენე ადლერი, ბერნდ შნაიდერი, ჰანს შარპეი, ლუკაშ სინკევიჩი და ვრასტისლავ გრეშკო დააკლდება.

„ჰოფენჰაიმს“ ოლიმპიადიდან ტრავმირებული ჩინედუ ობასო დაუბრუნდა და ჯონას სტრიფლერიც დაშავებულია.

„ჰოფენჰაიმის“ მწვრთნელი რალფ რანგნიკი კი ამბობს: „მესამე ტურში ვხვდებით გუნდს, რომელსაც ზედა ხუთეულში მოხვედრის შანსი აქვს. მათი ფეხბურთელების ინდივიდუალური შესაძლებლობები ჩვენსას აშკარად აღემატება და ამიტომ ორჯერ მეტი ყურადღება გვმართებს“.

რალფ რანგნიკმა ისიც აღნიშნა, რომ ბუნდესლიგის ცხრილში გაპირველებას მისი გუნდი არ გადაურევია: „ჩემ ფეხბურთელები საკმაოდ ჭკვიანები არიან საიმისოდ, რომ გაიგონ, თუ რა მოხდა. ჩვენ ძველებურად ბრძოლას განვაგრძობთ“.

იურგენ კლინსმანის რევოლუციურ „ბაიერნს“ ორი ტურის შემდეგ მოგება არ აქვს, თუმც კლუბმა მწვრთნელს ნდობა გამოუცხადა და უთხრა, რომ თუ ხვალ „ჰერტასთანაც“ ვერ მოიგებს, სანერვიულო არ იქნება.

იურგენ კლინსმანის დანიშვნის დღიდან „ბაიერნში“ სასიკეთო ცვლილებებზე ალაპარაკდნენ, მაგრამ გუნდს უკეთესობისა ჯერ არაფერი ეტყობა. „ბაიერნი“ ხვალ ბერლინის „ჰერტას“ მასპინძლობს, ვისაც ბოლო სამი სეზონის განმავლობაში იოლად ამარცხებდა — 3:0, 4:2 და 4:1. ვილი სანიოლი, ჰამით ალთიითნოფი და ფრანკ რიბერი ტრავმირებულნი არიან, ხოლო მარკ ვან ბომელი დისკვალიფიცირებულია.

ბრემენის „ვერდერის“ მწვრთნელმა თომას შააფმა განაცხადა, რომ არ იცის, ითამაშებს თუ არა ოლიმპიადიდან დაბრუნებული დიეგო „გლადბახთან“ მატჩში. ბრაზილიელი ნახევარმცველი რამდენიმე დღის წინ ჩაფრინდა გერმანიაში და ჯერ დასვენება სჭირდება. „მატჩის წინ პროგნოზებისგან თავს ვიკავებ ამჯერადაც არ ვიცი, რა მოხდება“ — ბრძანა შააფმა.

შუა კვირაში „ლაიფციგთან“ ამხანაგურ შეხვედრაში დიეგომ ითამაშა და შააფმა განაცხადა: „დაღლილია, მაგრამ ამ შეხვედრაში საკმაოდ სასარგებლო იყო“.

„გლადბახის“ მწვრთნელი იოს ლუჰუკაი ფიქრობს, რომ დიეგო ძირითად შემადგენლობაში იქნება: „ბრაზილიელი ალბათ ითამაშებს. ჩვენ ორივე შეხვედრა წავაგეთ და უკან დასახევი გზა არ გვაქვს. ვიცით, რომ ამ სეზონში ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა მოგვიწევს“.

მასპინძლებს სებასტიან შახტენი და სტივ გოპური დააკლდებათ, ხოლო სტუმრებს — აარონ ჰუნტი და პერ მერტესაკერი.

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხებული „შალკეს“ მწვრთნელმა ფრედ რუტენმა ფეხბურთელებს უთხრა, რომ მალე დაივიწყონ „ატლეტიკოსგან“ მტკივნეული 4:0 და ბუნდესლიგას და უეფას თასს მიხედონ. „ამ დონეზე ყველაფერს წვრილმანები წყვეტს — განაცხადა რუტენმა — „ატლეტიკომ“ ყველა საგოლე შანსი გამოიყენა, ჩვენ კი — ვერა. კლუბიც და ფანებიც წაგებამ დაზაფრა, მაგრამ ჩემპიონატში მნიშვნელოვანი მატჩი გველის და ამისთვის უნდა მოვემზადოთ. მადრიდულ მარცხს მალე თუ დავივიწყებთ, უკეთესი იქნება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 ჰოფენჰაიმი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 2 შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 3 ჰერთა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 4 დორტმუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 5 ვოლფსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 ჰამბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 8 შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 9 კარლსრუე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 10 ბაიერნი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 არმინია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 ვერდერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 13 ბოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 14 კიოლნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 15 აინტრახტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 16 ჰანოვერი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 17 კოტბუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 18 გლადბახი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ ორი ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში“
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - 442020 (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია
მხოლოდ 8-10-ით

www.telecom.ge

ცოცხალიზაცორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— არ ეკეთა, ძმაო.
— ეკეთა, ტო, ეკეთა!
— ლიჩნად მე არ მახსოვს.
— შენ როგორ გემახსოვრება, ბატო! „მანჩესტერ სიტის“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვერ არჩევ, ორივე „ნიუკასლი“ გგონია.
— ეეე... ძმაო, „ნიუკასლები“ შენკენ მოიკითხე. არ ეკეთა-მეთქი, გეუბნები.
— შე კუშნახევრიანო იდიოტო, აბა, გაიხსენე შარშანდელი სეზონი. მაშინ სათვალით იჩითებოდა?
— არა.
— ჰოდა, მაგას გეუბნები, ტო. სათვალე არ ქონდა და ბლანჟეთი გაეძრო, ეხლა კიდე ორივეს აწვება — ბლანჟესაც და სათვალესაც.
— მაგრა მიქარავ, ძმაო.
— რას გიქარვარ, ტო! „ლივერპული“ ამ სეზონში „ყომარპულად“ გადაიქცა. ბენიტესი მაყუთის მოჭრას ჩალიჩობს, ვერ ხვდები?
— რას ჩალიჩობს?
— შენ ხო არ გეტაიმბოლება? ვერ მოწვი, რა იკადრა ბენიტესმა? მთელი სეზონი იმენა მაყუთს ითხოვდა კლუბის პატრონებისგან და იმათ უთხრეს, ფული არ გვაქვს, შენ როგორც გინდა, იშოვეო.
— მერე? ბლანჟეთი და სათვალით მაყუთი მოჭრა?
— იასნია, მოჭრა. პროსტამც, შენი აზროვნება აძინიქსს ვერ გასცდება, ტო. ვერ ხვდები?
— რას ვერ ვხვდები?
— იგროკები ვინ გაპარსა ამ ოთხშაბათს, ვერ მოწვი? ჩვენნაირები ვინ გაატყავა?
— ბენიტესმა?
— იასნია, მაგან, ტო. მამენტ, სერიოზულ არგუმენტებს დაგილაგებ.
— როგორ დამილაგებ, ჩადგმით თუ ჩამოტარებით?
— რო გეუბნები, ეკეთა-მეთქი, რატო არ მიჯერებ? მთელი მსოფლიოს იგროკების მაყუთი „ლივერპული“ — „სტანდარდის“ ერთიანზე იყო შესული...
— მერე?
— რაღა მერე, ტო! ბენიტესი სათვალით ვის უნახავს აქამდე? ეგ სათვალე იცი, რას ნიშნავს?
— მგონი, გაუბერე...
— რა გავუბერე, რეებს ამბობ, იცი, სათვალეები რას ნიშნავს?
— ალბათ, ტიპი ვერ ხედავს და იმიტო გაიკეთა.
— აბა, შენა ხარ შავ-ბნელი! რას ვერ ხედავს, ტო! სათვალეები იმიტო გაიკეთა, „სტანდარტთან“ რო ეგ სათვალეები ნიშნავდა 0:0-ს. იმენა გუნდს გოლი არ უნდა გაეტანა და თამაში დაპალნიტელნიში გადაეყვანა, გაიგე? ეხლა ხო მოწვი, რა დონეზეა ყომარი? სათვალეს შუშები 0:0-ს ნიშნავს და „ლივერპულმაც“ ჩემნაირები და შენნაირები გაატყავა. ძირითადი უგოლოდ ითამაშა და დაპანლიტელნიში გაიტანა.

**ჭუში ჭოჭმარია**

ჩემი ბილეთი:
001 „ასტონ ვილა“ — „ლივერპული“
შედეგი: ბენიტესი შავი სათვალით გამოვა
სავარაუდო მოგება: ჭოგრიტი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რამდენად იყიდა დიმიტრი მედვედევმა დუშანბეში ტონა ნესვი

114140 *

# კაპელოს აბნევენ



ფაბიო კაპელო

**ინგლისის** ნაკრების იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო, როგორც ამბობენ, გაოცებისგან პირდაღებული დარჩა. მიზეზი: პრემიერლიგის ორი წამყვანი გუნდის, „ლივერპულისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფებმა, რაფა ბენიტესმა და ალექს ფერგიუსონმა მოულოდნელი განცხადებები გააკეთეს. ბენიტესმა საიდანღაც მოიტანა, რომ მერსისაიდელთა კაპიტანს, სტივ ჯერარდს საზარდული აქვს საოპერაციო და ეს ოპერაცია, მაინცდამაინც ახლა უნდა გაკეთდეს, ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის პირველობის შესარჩევ ციკლში ბრძოლას რომ იწყებს, ხოლო ფერგიუსონმა ოუენ ჰარგრივზზე თქვა, ფიზიკურად ფორმაში ვერ არის და ნაკრებში მის გამოძახებას აზრი არ აქვსო. ცნობისთვის: ფერგიუსონმა ეს სიტყვები ევროპის სუპერთასის მატჩამდე ერთი დღით ადრე თქვა, ასე რომ, თქვენ, „სარბიელის“ მკითხველო, ამ მომენტისთვის უკვე გეცოდინებათ, თავად ფერგიუსონმა რა ქნა, ჰარგრივზი ათამაშა და ეს ნახევარმცველი მხოლოდ ნაკრებისთვის ვერ არის ჯანზე, თუ მართლა ვერ არის ჯეროვნად მომზადებული.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ანდორასთან და ხორვატიასთან აქვს სათამაშო.

როგორც ამბობენ, „იუნაიტედისა“ და „ლივერპულის“ მწვრთნელთა განცხადებამ კაპელო მართლა გააოცა, მით უფრო, რომ ჯერარდმა, რომლის საზარდულის ოპერაცია გადაუდებელი ყოფილა, ოთხშაბათს ლიეჟის „სტანდარტთან“ ორი საათის (ძირითადი და დამატებითი დრო) განმავლობაში მამაპაპურად ირბინა წინ და უკან.

აღსანიშნავია, რომ „ლივერპულის“ ექიმი მარკ უოლერი იმავდროულად ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ესკულაპიც გახლავთ და მას არასდროს წამოცდენია, ჯერარდს სასწრაფო ოპერაცია აქვს გასაკეთებელიო.

ფერგიუსონის სიტყვები ჰარგრივზთან დაკავშირებით კი ასეთი იყო: „გამორიცხულია, ის ინგლისის ნაკრებში ვერ ითამაშებს. ანდორასთან კიდევ ჰო, მაგრამ ხორვატების წინააღმდეგ მხოლოდ ასი პროცენტით მომზადებული მოთამაშეებია საჭირო, ოუენი კი ასეთი არ გახლავთ. მე თუ მკითხავთ, მისი თამაშით ფაბიო გარისკავს“.

**ბაპუნა ძიდია**

| I ტური |
| --- |
| **დღეს** |
| ესპანიოლი — ვალიადოლიდი |
| **ხვალ** |
| ბილბაო — ალმერია |
| ოსასუნა — ვილიარეალი |
| რასინგი — სევილია |
| ბეტისი — უელვა |
| დეპორტივო — რეალი |
| სპორტინგი — ხეტაფე |
| ატლეტიკო — მალაგა |
| ვალენსია — მალიორკა |
| ნუმანსია — ბარსელონა |

# ესპანეთი

## გვარდიოლას რეალი არარეალური გონია

**პრიმერასთვის** რონალდინიო დამთავრდა. დღეს ესპანეთის ჩემპიონატი იწყება და „ბარსელონას“ ქომაგები ველარ ნახავენ ბრაზილიელის გაღიმებულ სახეს, რადგან გუნდისგან მოძულებული „მილანში“ გადაბარგდა.

ბოლო ორ სეზონში პრიმერა მადრიდის „რეალმა“ მოიგო — ჯერ ფაბიო კაპელოს, მერე კი ბერნდ შუსტერის ხელში.

ჩემპიონი ახალ სეზონს ხვალ ლა კორუნიაში სტუმრობით იწყებს, სადაც „დეპორტივო“ დაუხვდება. 1991 წლის შემდეგ „რეალმა“ გალისიაში ხუთი მატჩი წააგო, და 11 ფრედ დაასრულა. სამი ქულა იქედან უკვე 16 წელია, არ წამოუღია და ამჯერად ნავსის გატეხვას ეცდება.

ბერნდ შუსტერის გუნდი თავდაჯერებულია, რადგან ცოტა ხნის წინ ესპანეთის სუპერთასის ორმატჩიან ფინალში „ვალენსია“ დაამარცხა (6:5), მერე კი ამხანაგურად ლისაბონის „სპორტინგს“ 5:3 სძლია.

მიუხედავად ამისა, „ჩელსიში“ რობინიოს გადასვლის სურვილმა და სანტი კასორლასა და დევიდ ვილიას გაუჩარხავმა ტრანსფერებმა, შესაძლოა, გუნდის სისუსტეები სეზონის განმავლობაში გამოავლინოს. ცალკე ამბავია კრიშტიანუ რონალდუს გადაბირების მცდელობა. პორტუგალიელი მეგოლე „რეალმა“ ვერ იყიდა, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი მაინც შეიძინა. მათ შორის მთავარია რაფაელ ვან დერ ვაარტის შეძენა „ჰამბურგიდან“.

ბოლო ორი წელიწადში უტიტულოდ დარჩენილი „ბარსელონაც“ არ მჯდარა გულხელდაკრეფილი, ფრანკ რაიკარდი ხოსეპ გვარდიოლამ შეცვალა და გუნდში ხუთი ახალი ფეხბურთელი მიიყვანა. „არა მგონია, რომ ამჯერადაც „რეალი“ იყოს უპირობო ფავორიტი — თქვა გვარდიოლამ — თუ ჩვენ თამაში წაგვივა, მადრიდელებს პირველობა გაუჭირდებათ“.

„ბარსელონას“ მეტოქე პირველ ტურში „ნუმანსიაა“ — გუნდი, რომელიც პრიმერაში ამ ზაფხულს ალზევდა და ვისაც სამი წლის წინ სტუმრად „ბარსამ“ ვერ მოუგო — შეხვედრა 1:1 დასრულდა.

წინა სეზონში გავარდნას ძლივს გადარჩენილი „ოსასუნა“ „ვილიარეალს“ უმასპინძლებს. პამპლონელებმა გასულ სეზონში „ვილიარეალს“ ოთხი ქულა აართვეს. შინ 3:2 მოუგეს და სტუმრად უგოლოდ დაუზავდნენ. „ყვითლებს“ წლეულს ორ ფრონტზე ბრძოლა მოუწევთ, რაკი ჩემპიონთა ლიგაში ადგილი დაიბევეს.

„ვილიარეალივით“ ორ ფრონტს უნდა გასწვდეს მადრიდის „ატლეტიკოც“. ხავიერ აგირეს გუნდმა „შალკეს“ დამარცხებით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში შეაღწია. „ატლეტიკო“ ჩემპიონატს ხვალ „მალაგას“ მასპინძლობით დაიწყებს, რომელსაც ბოლო სამ შეხვედრაში ისე მოუგო, რომ გოლიც არ გაუშვია.

უეფას თასის ზედიზედ ორჯერ (2006-2007) მომგები „სევილია“ ამ ზაფხულს არ გაძლიერებულა. გუნდიდან დანი ალვეში და სეიდუ კეიტა „ბარსელონაში“ გადავიდნენ. სევილიელთა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვა სხვა ბობოლა კლუბებს სურდათ, მაგრამ პრეზიდენტმა არ გაუშვა — ისევ ოთხეულში მოსახვედრად იბრძოლებენ, რაც წინა სეზონში ვერ შეძლეს. პირველ ტურში „სევილიას“ მეტოქე სანტანდერის „რასინგია“, რომელსაც ანდალუსიელები 2004 წლის შემდეგ შინ არ დაუმარცხებიათ.

წინა სეზონში გავარდნას ბოლო ტურებში გადარჩენილი „ვალენსია“, პრიმერას „მალიორკასთან“ საშინაო მატჩით იწყებს. შარშან, რონალდ კუმანის მწვრთნელობისას, „ღამურები“ „მესტალიაზე“ 0:3 დამარცხდნენ და ახლა რევანშისთვის ემზადებიან. „მალიორკას“ თავკაცი გრეგორიო მანსანო ამბობს, რომ მასპინძლები ფავორიტები არიან: „ვალენსია“ ფავორიტია, მაგრამ მოულოდნელობას არ გამოვრიცხავ, ჩვენი მიზანი ნებისმიერ მატჩში გამარჯვებაა და ამ შეხვედრაშიც მოსაგებად ვიბრძოლებთ. „მესტალიაზე“ თამაში ყველასთვის რთულია. მათ სუპერთასზე „რეალთან“ ორი მატჩი უკვე გამართეს და ჩვენზე უკეთეს ფორმაში არიან“.

**გაგა ხუციშვილი**

# ვინ იწონებს და ვინ იწუნებს განსაკუთრებულის მეთოდებს?



დეიან სტანკოვიჩი

**მილანის** „ინტერმა“ ცოტა მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა. „სან სიროს“ ბინადრებმა ნიჭიერი ნიგერიელი ვიქტორ ობინია „კიევოსგან“ ბოლომდე გამოისყიდეს და მყისვე განათხოვრეს „ევერტონში“. არადა, ჟოზე მაურინიუ ამბობს, ერთი გარემარბი სრულად დაგვიკომპლექტებდა გუნდსო და ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ 21 წლის ობინიას გამოსყიდვის შემთხვევაში „ნერაძური“ მას გაუშვებდა.

ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე „ინტერი“ ყველანაირად ეცდება რიკარდო კვარეშმას ხელში ჩაგდებას. „პორტუს“ დასაყოლიებლად მილანელებს სულ ცოტა დრო რჩებათ.

ამასობაში, მაურინიუთი და მისი ვარჯიშის მეთოდით აღფრთოვანებას ვერ მალავენ ზლატან იბრაჰიმოვიჩი და დეიან სტანკოვიჩი. თუმცა პორტუგალიელ სპეციალისტს კრიტიკოსიც გამოუჩნდა — „ნერაძურის“ ყოფილი ფეხბურთელი სინიშა მიხაილოვიჩი, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, „განსაკუთრებულის“ მისვლამდე რობერტო მანჩინის თამაშემწედ მუშაობდა.

დეიან სტანკოვიჩი: „თავიდანვე მივხვდი, რომ მაურინიუ ბრწყინვალე მწვრთნელია. მოსამზადებელმა პერიოდმა ძალიან გამაკვირვა, პირველივე დღიდან მინდორზე ვიყავით და საკონტროლო მატჩებს ვთამაშობდით. ეს ჩემი 13-წლიანი კარიერის მანძილზე პირველად მოხდა და ძალიან ნასიამოვნები დავრჩი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როცა მაურინიუმ თქვა, სტანკოვიჩს არ ვყიდი, მჭირდებაო. ამოვისუნთქე, რადგან პრესა ჯიუტად ცდილობდა ჩემს სხვა კლუბში გადაყვანას.“

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „მუხლი ბევრად უკეთ მაქვს. ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე მოვირჩინე, მაგრამ ყოველ სამ დღეში ისედაც ვთამაშობ და ესე იგი, ყველაფერი კარგად მიდის. რაც შეეხება მაურინიუს, ის საუკეთესო მწვრთნელია, რომელიც კი ოდესმე მყოლია, როგორც მინდორზე, ასევე მის გარეთ. მაურინიუ ყველა დეტალს ყურადღებას აქცევს და მისი ხელი საქმეს მყისვე ეტყობა. ახლა ახალი შემართება გვაქვს, უფრო მეტად თავდაჯერებულნი ვართ“.

სინიშა მიხაილოვიჩი: „მაურინიუს მეთოდები ცოტა მეუცნაურება. შესაძლოა, სწორედ ეს არის „ინტერში“ ტრავმების ეპიდემიის მიზეზი. როგორც წესი, ფეხბურთელები მოსამზადებელი პერიოდის პირველივე დღიდან თამაშს არ იწყებენ. ჯერ სირბილი და ფიზმომზადებაა საჭირო, ძალების აღსადგენად. ჩემს კარიერაში მხოლოდ ერთხელ მომიხდა განსხვავებული მეთოდით ვარჯიში, ეს „სამპდორიაში“ მოხდა, ლუის სესარ მენოტის დროს. თავიდანვე ძალიან დავიტვირთეთ და მერე, ფეხზე ძლივს ვდგებოდით“.

**ძოძი ძანძღაძე**



რობერტო მანჩინი და სინიშა მიხაილოვიჩი



მასიმო ოდო

# ფასდაკლება მილანში

**„მილანმა“** ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი გაასხვისა. დავიწყოთ ყველაზე ხმაურიანი ამბით — მასიმო ოდო მომავალ სეზონს მიუნხენის „ბაიერნში“ გაატარებს.

„ლაციოს“ ექსკაპიტანს წინა სეზონის დიდი ნაწილი მუხლის ტრავმის გამო გაუცდა. 32 წლის ფეხბურთელი ამბობს, ახლა ჩემი ოცნების გუნდს ვტოვებ, მაგრამ „ბაიერნში“ ძველებურად ავთამაშდები და „მილანში“ კიდევ უფრო ძლიერი დავბრუნდები, „როსონერს“ კი მომავალ სეზონში დიდ წარმატებებს ვუსურვებო.

„ოდოს ბევრი კარგი თვისება აქვს. ის ჩინებული მცველია, თან თამამად და სასარგებლოდ ერთვება შეტევებში. მასიმო გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს“ — თქვა მიუნხენელთა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა.

ახალგაზრდა თავდამსხმელი ალბერტო პალოსკი სერია B-ში გავარდნილ „პარმაში“ გადაბარგდა, სადაც დიდი სათამაშო დრო ექნება და დაიხვეწება. როცა „მილანს“ დასჭირდება, 19 წლის ფორვარდს უკან დაიბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად „სან სიროს“ ბინადრებს ასეთი გეგმა აქვთ.

კიდევ ერთი ახალგაზრდა შემტევი ვილი აუბამეიანგი „როსონერიმ“ ასევე სერია B-ს ბინადარ „აველინოს“ ათხოვა. 21 წლის ფრანგმა წინასასეზონო მოსამზადებელი პერიოდი კარგად ჩაატარა და მისი სკამზე დასმა საცოდაობა იქნებოდა.

დაბოლოს, „მილანი“ დატოვა ვეტერანმა ნახევარმცველმა კრისტიან ბროკიმაც. 32 წლის ფეხბურთელი „ლაციოში“ გადაბარგდა. გავრცელებული ცნობით, რომაელებს ის დაახლოებით 3 მილიონი ევრო დაუჯდათ.

**ძოძი ძანძღაძე**

| I ტური |
| --- |
| **დღეს** |
| უდინეზე — პალერმო |
| სამპდორია — ინტერი |
| **ხვალ** |
| რომა — ნაპოლი |
| კიევო — რეჯინა |
| მილანი — ბოლონია |
| ფიორენტინა — იუვენტუსი |
| კატანია — ჯენოა |
| ტორინო — ლეჩე |
| კალიარი — რომა |
| ატალანტა — სიენა |

## იტალია

# ძველებური კალჩო ბრუნდება

**კალჩოს** მოყვარულებს 2008-2009 წლების სერია A-მ წესით ძალიან უნდა ასიამოვნოს. ყოველ შემთხვევაში, ამ სეზონისგან ძალიან ბევრს ელიან, იმაზე ბევრად მეტს, ვიდრე წინა 2 სეზონისგან.

კალჩოპოლის სკანდალის მერე, ეს იქნება პირველი რეალურად დაძაბული ჩემპიონატი. ლოგიკურად ასეა და ამას მარტივი ახსნა აქვს: „ინტერსა“ და „რომას“ კვლავ შორსმიმავალი გეგმები აქვთ. „მილანი“ საგრძნობლად მოძლიერდა, თან ჩემპიონთა ლიგაში არ იქნება, ამიტომ „როსონერი“ მთავარ მიზნად სკუდეტოს მოპოვებას ისახავს. ჩემპიონობისთვის ბრძოლას „იუვენტუსისგანაც“ ელიან. ტურინელებმაც უფრო დახვეწეს თამაში და გუნდი გააძლიერეს.

ჩეზარე პრანდელის „ფიორენტინამ“ შესაძლოა ახალი სიურპრიზები შემოგვთავაზოს. უყურადღებოდ არც „ნაპოლის“, „სამპდორიასა“ და „უდინეზეს“ დატოვება შეიძლება.

რომის „ლაციო“ თამაშის შედარებით გამოსწორებას ეცდება. სერია A-ს დაუბრუნდნენ „ბოლონია“, „კიევო“ და „ლეჩე“. ერთი სიტყვით, ბევრი მიზეზია, რომელთა გამოც ჩემპიონატი წესით ძალიან საინტერესო და დაძაბული უნდა გამოვიდეს.

პირველივე ტურში ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩია — ფლორენციაში „ფიორენტინა“ „იუვენტუსს“ მასპინძლობს. ორივე კლუბმა წარმატებით გადალახა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი და შესაბამისად, კარგ გუნებაზე არიან.

| 20:00 | 470 | სპარტაკი-ნალჩიკი | 1.55 | 3.40 | 5.60 | 1.06 | 1.21 | 2.11 |
| 12:00 | 471 | ენერგია-ტერეკი | 1.50 | 3.40 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.10 |
| | | პოლონეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 472 | ოდრა-რუხი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 17:15 | 474 | პოლონია ბ-გდანსკი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 21:45 | 479 | იაგელონია-პიასტი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 18:45 | 473 | არკა-ლეხი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 21:30 | 475 | კრაკოვია-ვისლა | 4.50 | 3.20 | 1.70 | 1.87 | 1.23 | 1.11 |
| 19:00 | 478 | გურნიკი-ლეგია | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუსლიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 481 | პლზენი-ტეპლიცე | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 21:00 | 488 | ზლინი-ბუდეიოვიცე | 1.75 | 3.30 | 4.35 | 1.14 | 1.24 | 1.87 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 482 | ბოჰემიანსი -ბრნო | 3.60 | 3.10 | 1.95 | 1.66 | 1.26 | 1.19 |
| 22:00 | 483 | სპარტა-ჟიჟკოვი | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 19:00 | 484 | იაბლონეცი-კლადნო | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 486 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 19:15 | 487 | ბანიკი-სლავია | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| | | ჩეხეთი. II ლიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 490 | ოლომოუცი-ბოჰემიანსი(პრაღა) | 2.95 | 2.90 | 2.35 | 1.46 | 1.30 | 1.29 |
| 12:15 | 491 | ტრინეცი-კარვინა | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 12:15 | 494 | სოკოლოვი-ვიტკოვიცე | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 493 | ჩასლავი-სპარტა ბ | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 19:00 | 495 | უსტი-ოპავა | 2.90 | 2.90 | 2.35 | 1.45 | 1.29 | 1.29 |
| | | სლოვაკეთი. I ლიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 497 | რუჟომბეროკი-პეტრჟალკა | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 498 | სლოვანი-ნიტრა | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 21:30 | 499 | დუბნიცა-სტრედა | 1.75 | 3.20 | 4.35 | 1.13 | 1.24 | 1.84 |
| 21:00 | 500 | ბ.ბისტრიცა-ზლატე მორავცე | 1.50 | 3.40 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.10 |
| 22:15 | 501 | ტრნავა-ტატრანი | 1.50 | 3.40 | 5.80 | 1.04 | 1.19 | 2.14 |
| 20:30 | 502 | კოშიცე-ჟილინა | 2.60 | 2.80 | 2.65 | 1.34 | 1.31 | 1.36 |
| | | ხორვატია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 503 | დინამო-ვარტეკსი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 504 | ინტერი-ზადარი | 1.90 | 3.20 | 3.25 | 1.19 | 1.19 | 1.61 |
| 22:00 | 505 | ხორვატია-ციბალია | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 506 | რიეკა-სლავენი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:00 | 507 | ოსიეკი-ჰაიდუკი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 22:00 | 508 | შიბენიკი-ზაგრები | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 19:00 | 520 | ოდენსე-რანდერსი | 1.65 | 3.60 | 5.35 | 1.13 | 1.26 | 2.15 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 521 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.70 | 3.40 | 2.40 | 1.50 | 1.27 | 1.40 |
| 18:00 | 522 | ესბიერგი-ჰორსენსი | 1.80 | 3.50 | 4.20 | 1.18 | 1.25 | 1.90 |
| 15:00 | 523 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 2.00 | 3.30 | 3.60 | 1.24 | 1.28 | 1.72 |
| 18:05 | 525 | სიონდერიისკე-ოლბორგი | 4.20 | 3.50 | 1.80 | 1.90 | 1.25 | 1.18 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 524 | მიდტიულანდი-ვეილე | 1.45 | 4.10 | 7.20 | 1.07 | 1.20 | 2.61 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 15:00 | 534 | ტისტედი-კოლდინგი | 2.30 | 3.40 | 2.75 | 1.37 | 1.25 | 1.52 |
| 15:00 | 535 | როსკილდე-ფრემადი | 3.10 | 3.40 | 2.10 | 1.62 | 1.25 | 1.29 |
| 17:00 | 536 | ფრემი-სკივე | 1.90 | 3.60 | 3.40 | 1.24 | 1.21 | 1.74 |
| 13:30 | 537 | ჰერფიოლგე-კიოგე | 1.20 | 5.60 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.81 |
| 17:00 | 538 | ლიუნგბიუ-ნესტვედი | 1.75 | 3.60 | 4.00 | 1.17 | 1.21 | 1.89 |
| 17:00 | 539 | ფრედერისია-ჰვიდოვრე | 1.90 | 3.50 | 3.40 | 1.23 | 1.21 | 1.72 |
| 17:00 | 540 | ვიბორგი-ლოლანდი | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 17:00 | 541 | აკადემისკი-სილკებორგი | 3.20 | 3.50 | 2.00 | 1.67 | 1.23 | 1.27 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 559 | ალესუნდი-ფრედრიკსტადი | 3.00 | 3.40 | 2.25 | 1.59 | 1.28 | 1.35 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 556 | სტრიომსგოდსეტი-ჰამ კამი | 1.65 | 3.60 | 5.20 | 1.13 | 1.25 | 2.12 |
| 20:00 | 557 | ბოდიო გლიმტი-ბრანი | 2.15 | 3.40 | 3.20 | 1.31 | 1.28 | 1.64 |
| 20:00 | 558 | ვიკინგი-მოლდე | 1.75 | 3.60 | 4.55 | 1.17 | 1.26 | 2.00 |
| 20:00 | 560 | ლინი-ტრომსიო | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 22:00 | 562 | რუსენბორგი-ვოლერენგა | 1.80 | 3.40 | 4.40 | 1.17 | 1.27 | 1.91 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 561 | ლილესტრიომი-სტაბეკი | 2.75 | 3.30 | 2.45 | 1.50 | 1.29 | 1.40 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 564 | ბრინი-სანდეფიორდი | 3.75 | 3.50 | 1.80 | 1.81 | 1.21 | 1.18 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 563 | სოგნდალი-ოდ გრენლანდი | 3.10 | 3.40 | 2.05 | 1.62 | 1.23 | 1.27 |
| 18:00 | 565 | მოსი-ჰიონეფოსი | 2.05 | 3.40 | 3.20 | 1.27 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 566 | კონგსვინგერი-ნოტოდენი | 2.55 | 3.30 | 2.40 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 20:00 | 567 | სტარტი-ლოვ ჰამი | 1.25 | 5.20 | 8.25 | 1.00 | 1.08 | 3.18 |
| 18:00 | 568 | ნიბერგსუნდი-ჰიოდი | 1.50 | 3.90 | 5.20 | 1.08 | 1.16 | 2.22 |
| 18:00 | 569 | ჰაუგესუნდი-სარპსბორგი | 1.70 | 3.60 | 4.20 | 1.15 | 1.21 | 1.93 |
| 18:00 | 570 | სანდნესი-ალტა | 1.70 | 3.60 | 4.10 | 1.15 | 1.20 | 1.91 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 575 | ტრელებორგი-აიკ | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.28 | 1.35 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 574 | გეფლე-მალმიო | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| 17:00 | 576 | კალმარი-სუნდსვალი | 1.35 | 4.20 | 8.10 | 1.02 | 1.15 | 2.76 |
| 20:00 | 577 | ჰალმსტადი-ნორჩიოპინგი | 1.65 | 3.50 | 4.85 | 1.12 | 1.23 | 2.03 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 578 | ელფსბორგი-ლიუნგსკილე | 1.35 | 4.20 | 7.70 | 1.02 | 1.14 | 2.71 |
| 21:00 | 579 | იურგორდენი-იორებრო | 1.70 | 3.40 | 4.65 | 1.13 | 1.24 | 1.96 |
| 21:00 | 580 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 581 | გიოტებორგი-გაის | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 586 | დეგერფორსი-ანგელჰოლმი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 17:00 | 587 | ქვიდინგი-ვესბი | 1.95 | 3.40 | 3.25 | 1.23 | 1.21 | 1.66 |
| 19:00 | 588 | მიალბი-ატვიდაბერგი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 589 | ასირისკა-იონკოპინგი | 1.45 | 4.20 | 6.00 | 1.07 | 1.16 | 2.47 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 21:00 | 590 | ლანდსკრონა-ბუნკეფლო | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 21:00 | 591 | ენჩიოპინგი-ბრომაპოიკარნა | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| | | ფინეთი. ვაიკაუსლიგა | | | | | | |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 19:30 | 603 | ტამპერე-ჰიკ | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 19:30 | 604 | კუოპიო-ვპს | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:30 | 605 | მარიეჰამნი-როვანიემი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 19:30 | 606 | იარო-ტურკუ | 3.05 | 3.20 | 2.15 | 1.56 | 1.26 | 1.28 |
| 19:30 | 607 | მიუპა-ჰაკა | 2.10 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| 19:30 | 608 | ჰონკა-ლაჰტი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 19:30 | 609 | ინტერი-კტპ | 1.25 | 5.00 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.27 |
| | | ფინეთი. 2 ლიგა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 17:00 | 613 | კპვ-კემი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 16:00 | 614 | პკ 35-ივასკილა | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 16:00 | 615 | კაპა-ოულუ | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 617 | ტპ-47-ჯიპო | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| 16:00 | 618 | გრანკულა-ტამპერე | 2.20 | 3.40 | 2.65 | 1.33 | 1.20 | 1.48 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 629 | კობი-გალვეი | 2.35 | 3.10 | 2.75 | 1.33 | 1.26 | 1.45 |
| 23:00 | 630 | სლიგო-დროგედა | 2.85 | 3.10 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 03:30 | 652 | ნიუ ინგლენდი-ლოს ანჯელესი | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 03:30 | 653 | ვაშინგტონი-ნიუ იორკი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |
| 05:00 | 654 | დალასი-კოლამბუსი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 06:00 | 655 | სან ხოსე-კანზასი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 06:30 | 656 | ჩივასი-ტორონტო | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 03:00 | 657 | ჰიუსტონი-ჩიკაგო | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | არგენტინა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 30 აგვისტო | | | | | | |
| 23:10 | 685 | გოდოი კრუზი-ველესი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 01:20 | 678 | როსარიო-ბანფილდი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 01:20 | 679 | კოლონი-ნიუელზი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 04:10 | 680 | არგენტინოს ხუნიორსი-რასინგი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:20 | 681 | რივერ პლეიტი-სან ლორენსო | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 21:10 | 683 | ესტუდიანტესი-არსენალი | 1.70 | 3.40 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.90 |
| 21:10 | 684 | ურაკანი-ბოკა ხუნიორსი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 01:40 | 682 | ინდეპენდიენტე-ხიმნასია ლპ | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 31 აგვისტო | | | | | | |
| 23:00 | 695 | სან პაულუ-სანტოსი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 23:00 | 696 | ატლეტიკო პრ-პალმეირასი | 2.30 | 3.10 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 23:00 | 697 | სპორტ რისიფე-ინტერნასიონალი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 01:20 | 698 | ბოტაფოგო-ნაუტიკო | 1.27 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.08 |
| 01:20 | 701 | გოიასი-ფიგეირენსე | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 01:10 | 693 | კრუზეირო-კურიტიბა | 1.55 | 3.50 | 5.15 | 1.07 | 1.19 | 2.08 |
| 01:10 | 694 | პორტუგესა-ატლეტიკო მნ | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| 01:10 | 699 | ფლამენგო-ფლუმინენსე | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |

კალათბურთი

# ჩვენი თბილისი ვენა იქნება

## ნაკრების გეგმები და გეგმები

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ევროპაში მოსამზადებელ შეკრებას აგრძელებს. იგორ კოკოშკოვის გუნდმა ლატვიური ტურნირი მოილია და ახლა ავსტრიას ეწვევა, სადაც მასპინძლებთან კიდევ ორ ამხანაგურ თამაშს გამართავს და ვარჯიშს იქვე, ვენასთან ახლოს ახალაშენებულ სპორტულ კომპლექსში განაგრძობს.

ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო ნაკრებისთვის წინასწარ განსაზღვრული გეგმა თავდაყირა დადგა. როგორც იცით, **FIBA**-მ კალენდარი შეგვიცვალა და თბილისში სექტემბერში ჩასატარებელ თამაშებს სტუმრად ვითამაშებთ. ამიტომაც ბევრი რამ თავიდან გახდა დასაგეგმი.

გუშინ კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ლაშა ძიძავას შევეხმიანეთ, ვინც ორიოდე დღეა, რაც თბილისში დაბრუნდა. ძიძავა ნაკრებთან ერთად ევროპაში იყო და სწორედ მან გვიამბო გუნდის მზადებისა და გეგმების შესახებ...



— ლატვიიდან ნაკრები მალევე ავსტრიას მიაშურებს და მასპინძლებთან ორ თამაშს ჩაატარებს. ვარჯიშები კი ვენასთან მდებარე კეთილმოწყობილ სპორტულ კომპლექსში ექნებათ. ეს ვარიანტი თვითონ ავსტრიელებმა შემოგვთავაზეს და ჩვენც კმაყოფილი დავრჩით. 5 სექტემბრამდე იქ დარჩებიან და მერე ლუქსემბურგში წავლენ, სადაც ექვსში უკვე პირველი ოფიციალური თამაში გველის.

ნაკრები მეორე დღესაც ლუქსემბურგში დარჩება და 8-ში ისევ ვენას ეწვევა. მოკლედ, თბილისს ვენა შეცვლის, რადგან ევროპის ცენტრია. აქედან იოლია ნებისმიერი მიმართულებით გაფრენა და ამ თვალსაზრისითაც ვარჩიეთ ავსტრიაში ვარჯიში. ამის მერე დუბლინში ირლანდიასთან მატჩია 9 სექტემბერს და ამას სლოვაკეთი მოსდევს. მათ თავიდან ბრატისლავაში უნდოდათ მასპინძლობა, მაგრამ აღარ გამოუვიდათ, რადგან სწრაფად შეიცვალა გეგმა. ამიტომ კოშიცეში ვითამაშებთ. ბოლოს, 15 სექტემბერს, სტოკჰოლმში შვედებს ვხვდებით.

— ლატვიაში დასრულებულ ტურნირზე რას გვეტყვით, როგორი შთაბეჭდილება დატოვა ნაკრებმა?

— საფრანგეთს სამი პერიოდი ტოლ-სწორად ეთამაშა და ბოლოსკენა აჯობა ჩვენებს. ყველა წამყვანი მოთამაშე ჰყავდათ და იოლი არ იყო, მათთან ბრძოლა. ჩეხეთთან თავიდან ცოტა გაუჭირდათ. რაღაცნაირი მძიმე გუნდია. ლატვიამაც გაჭირვებით მოუგო. ლატვია კი მეოთხე პერიოდის შუაში ხუთი წუთით დაეუფლა უპირატესობას, დარჩენილ დროში თამაშს ქართველები აკონტროლებდნენ. ეს მოგება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო.

— იგორ კოკოშკოვი რას ამბობს. კმაყოფილია ბიჭებით?

— კმაყოფილია, მაგრამ კიდევ მეტს ითხოვს. რაც მთავარია, ყველა ჯანზეა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ყველას ესმის, როგორი სიტუაცია დღეს საქართველოში და კიდევ უფრო მოტივირებულნი არიან.

— კალენდარი რომ შეიცვალა, ამაზე რა თქვა კოკოშკომა?

— კოკოშკოვიც და ბიჭებიც ხვდებიან, რომ ეს ყველაფერი საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა და ყველა გაგებით ეკიდება ამ საკითხს.

— მეტოქეების თამაშები თუ გაარჩიეს?

— ყველა მოწინააღმდეგის თამაში აქვთ და არც ამ მხრივაა რამე პრობლემა. იმის გათვალისწინებით, რომ უმოკლეს დროში მოგვიწია გეგმების გადაწყობა, ნაკრები მაინც იდეალურ პირობებში ვარჯიშობს და არანაირი პრობლემა არა აქვს. თამაშებს ბიჭები სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან.

**ნიკა ძოპაძე**

რაგბი



# საქართველოს მსოფლიო ევროპიდან იწყება

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. ჩვენი ჭაბუკთა ნაკრები პოლონეთში, სოპოტში, დასაწყებ ევრორაგბობისთვის აქამდეც უნდა შეკრებილიყო, მაგრამ ქვეყანაში ომი იყო და ამისთვის ვის ეცალა.

ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი წლეულს პირველად გაიმართება. ბოლო დროს ევროპის რაგბის ასოციაციამ (FIRA-AER) და რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) ეროვნული ნაკრებების გარდა ლამის ყველა ასაკობრივი ნაკრების განრიგს და ტურნირს გადახედეს, უხეშად რომ ვთქვათ, უმცროსთა ტურნირები გაინაწილეს.

აქამდე 19-წლამდელებში მსოფლიოს თასი იმართებოდა, ეს ტურნირი გაუქმდა და ევროპის ჩემპიონატად გადაკეთდა. სამაგიეროდ, გაეზარდა სტატუსი და დატვირთვა. წლევანდელი ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი იმავდროულად საგაისო მსოფლიოს თასის B დივიზიონის საკვალიფიკაციო ეტაპიც იქნება. გაისად B დივიზიონის გამარჯვებული 2010 წლის მსოფლიოს თასის ელიტარულ ლიგაში ითამაშებს.

იქამდე შორია და ჯერ საამსეზონო ამბავი ვთქვათ...

ევრორაგბობისთვის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ზღვისპირეთში უნდა შეკრებილიყო, მაგრამ, ცხადია, ეს არ გამოვიდა და ჩვენი ჭაბუკებიც თბილისში ვარჯიშობენ.

ნაკრების მწვრთნელების, დავით ჩავლეიშვილის და დიმიტრი ფულარიას შეგირდები თბილისში აქაურ კლუბებთან რამდენიმე ტესტს გამართავენ, სოპოტში კი ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გაივლიან შეკრებას.

ევროპის ჩემპიონატი 20 სექტემბერს დაიწყება.

*შემადგენლობა:* **შეტევა:** ცირეკიძე გიორგი (არმაზი), ვასილ კაკოვინი, ლადო გუნიავა (ორივე უნივერსიტეტი), შალვა მამუკაშვილი, დავით ბარბაქაძე, ბექა ნიკოლაიშვილი, ერეკლე მეტრეველი, თენგიზ მარგველაშვილი (ყოჩები), თორნიკე ლომიძე, მიხეილ ნარიაშვილი, ირაკლი რევიშვილი (ქუთაისი), ვიქტორ კოლელიშვილი, გიორგი გაბელია, ვასილ კვერნაძე (ლელო), მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია);

**უკანა ხაზი:** გიორგი ჭინჭარაული, გიგა კორკელია, გიორგი ლომინაძე, გოდერძი ჯოგლიძე (ლელო), შალვა მახარაშვილი, დავით გრძელიშვილი, სანდრო ინაშვილი (ყოჩები), ლევან გოგია, რატი ხუციშვილი, ვახტანგ კავთიძე (უნივერსიტეტი), გიგი გაბუნია (არმაზი), ზურაბ გოგლიჩაძე, გიგა მშვენიერაძე (ქუთაისი), გიორგი ნოზაძე, ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), გიორგი სვანიძე (აიეტი).

**ნიკა ძოპაძე**

ჩოგბურთი

# ყაზახეთი, ჰოლანდია, ავსტრია

## ქართული ჩოგანი მხოლოდ ჰოლანდიას შემორჩა

**ყაზახეთში** გამართულ საჩოგბურთო ტურნირზე ქართველი ირაკლი ლაბაძე ერთეულებში დამარცხების შემდეგ წყვილთა შორის შეჯიბრებასაც გამოეთიშა. ლაბაძისა და რუმინელი ლუნჩანუმის ტანდემმა ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილ უკრაინელი ბუბკასა და რუსი ელგინის დუეტთან წააგო — 3:6, 3:6.

ჰოლანდიის ქალაქ ვლაარდინგენში, 25 ათას დოლარიან ტურნირზე, ქართველი მაკა ჩახნაშვილისა და არგენტინელი ფლორენსია მილინეროს წყვილმა ნახევარფინალს უწია. ჩახნაშვილი-მილინერის დუეტმა ჰოლანდიური (ტიგე-ვეტერინგსი) წყვილი დაძაბულ ბრძოლაში დაჯაბნა — 6:1, 3:6, 10:6.

სოფო ქვაცაბაიასა და ეკატერინე გორგოძის წყვილმა ავსტრიის ქალაქ პორტშახში გამართულ ტურნირზე მასპინძლებთან — ჰელვიგთან და კლემენშიცთან — დათმო შეხვედრა — 3:6, 4:6. ქართული წყვილი ამ დამარცხებით 10 ათას დოლარიან ტურნირს გამოეთიშა.



**ზურაბ მიგრიაული**

სარბიელელები<br>თანავუგრძნობთ<br>ჩვენს კოლეგას<br>პაატა ნაცვლიშვილს<br>**დის**<br>გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ<br>ჟურნალისტთა ასოციაცია<br>თანაუგრძნობს<br>პაატა ნაცვლიშვილს<br>**დის**<br>გარდაცვალების გამო

საქართველოს ეროვნული<br>ოლიმპიური კომიტეტი<br>თანაუგრძნობს<br>პაატა ნაცვლიშვილს<br>**დის**<br>გარდაცვალების გამო

# მანუჩარის მუხტი: არ გაჩერდე!

## კვირკველიამ ჩემპიონობა გამოიცნო და შვილის დაბადება — ვერა



პეკინის ოლიმპიადა საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა გადაფარა. იმ მძიმე დღეებში ერთადერთი, რაც ქართველ ხალხს გულს უხარებდა, ჩინეთიდან მოსული ამბები იყო.
მაშინ, როცა შენს ქვეყანას ბომბავენ და საკუთარ ოჯახს საფრთხე ემუქრება, როგორ გინდა, ოლიმპიადაზე იფიქრო?
ქართველი ოლიმპიელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უდიდეს ზეწოლას გაუძლეს და საქართველოს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანეს. პეკინში ქართული დროშა პირველმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მანუჩარ კვირკველიამ (74კგ) აღამართვინა. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ოლიმპიადაზე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად განიხილებოდა, მაგრამ იმედს გამართლება უნდა. გამარჯვება ამ შემთხვევაში კიდევ უფრო რთული იყო. ჩვენი ოლიმპიელების პრობლემას ზემოთაც შევეხეთ...
მოკლედ, მანუჩარმა თავისი ჩემპიონობით მთელი საქართველო გაახარა და დანარჩენ ოლიმპიალებს მისცა... გუშინ მანუჩარ კვირკველია რედაქციაში გვესტუმრა და ეს ინტერვიუ ჩავწერეთ...



— ოლიმპიადას კარგ ფორმაში შევხვდი, თუმც წინასწარ მაინც ძნელია, განსაზღვრო რამდენად კარგ კონდიციებში ხარ. ეს ყველაფერი ბოლოს ჩნდება, როდესაც შენს შედეგებს გადახედავ. ჩემმა ჭიდაობამ გამოაჩინა, რომ ოლიმპიადისთვის მზად ვიყავი.

**— საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა შენზე როგორ იმოქმედა. ფსიქოლოგიურად არ გიჭირდა?**

— როგორც ყველა, მეც განვიცდიდი ამ ამბავს. საქართველოდან ცუდი ამბები მოდიოდა. თან ინფორმაციულ ვაკუუმში ვიყავით. ვფიქრობდი ჩემს ქვეყანაზე, ოჯახზე... თბილისში ხომ პატარა ბავშვი და ფეხმძიმე მეუღლე მყავდა დატოვებული. ძალიან ძნელი იყო. როდესაც ითქვა, რომ მივდივართო, გაგებით მოვეკიდე ამ ამბავს, სადაც სხვები, მეც იქ ვიყავი. ისე, თან გულიც მწყდებოდა, ოთხი წელი ხომ ოლიმპიადისთვის ვემზადებოდი. მერე კი, რადგან დავრჩით, ნაკლებად ვფიქრობდი. კონტაქტი გავწყვიტეთ საქართველოსთან. მინდოდა, კონცენტრაცია მხოლოდ ჭიდაობაზე მომეხდინა და მიხარია, რომ ეს შევძელი.

**— მთელი ოლიმპიადა ერთი ამოსუნთქვით მოიგე. ყოველ შემთხვევაში, აქედან ასე ჩანდა. რეალურად არ გაგიჭირდა ვინმესთან ცოტათი მაინც?**

— უნგრელ მოჭიდავესთან იყო ერთი მომენტი და ისიც იმიტომ, რომ ცოტა მსაჯები წაეხმარნენ. მაგრამ მერე სამქულიანი ავიღე და დამატებითი პერიოდი აღარ დამჭირდა. თუმც იოლი მეტოქეები ნამდვილად არ მყოლია. ოლიმპიადაა და ადვილად ვერავის მოუგებ.

**— ჩინელის ფინალში გასვლა მოულოდნელი იყო?**

— ის ჩინელი სუსტი სულაც არ არის. აზიის ჩემპიონია. ოლიმპიადაზე სერიოზული მეტოქეები წააქცია — მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ფინალისტები. ფინალში შემთხვევით გასვლა წარმოუდგენელია. ასე რომ, ფინალში ძლიერი მეტოქის დამარცხება მომიხდა. ვცდილობდი, რომ არ მენერვიულა და მხოლოდ ჭიდაობაზე მეფიქრა. ბედნიერი ვიყავი, რომ გავიმარჯვე და ქართველი ხალხიც გავახარე.

**— ახლა, როცა ყველაფერი მოგებული გაქვს, ძნელი ხომ არ არის ვარჯიში და სხვა შეჯიბრებებზე კონცენტრაციის მოხდენა?**

— ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ყველაფერი მოვიგე. ფიქრობ, ტყუილად არ გიწვალია და ის შრომა, რაც გაიღე, დაგიფასდა. ახლა უფრო იოლია ვარჯიში, ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნილი გაქვს. მაგრამ სულაც არ მინდა ერთ ადგილზე გაჩერება. მინდა, კიდევ მოვიპოვო გამარჯვებები და გულშემატკივრები გავახარო. მით უმეტეს, ვიცი, ჩემგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვენ.

**— ოლიმპიურ ჩემპიონობას კიდევ ერთი კარგი ამბავი დაემატა, მეორე შვილი შეგეძინა. ამ დროს ისევ პეკინში იყავი...**

— პეკინის აეროპორტში გავიგე და ერთი სული მქონდა, თბილისში როდის ჩამოვიდოდი. ისე მოხდა, რომ ერთი დღით გავჩერდით და მერე გამოვფრინდით. სხვათა შორის, ბავშვის დაბადებას უფრო ადრე ველოდით — ჯერ 7 აგვისტოს, მერე სულაც 13-ში, როდესაც ჩემპიონი გავხდი. მოკლედ, ამ ამბავმა კიდევ უფრო გამახარა...

**— ქუჩაში ხალხი ალბათ გცნობს, როგორი რეაქცია აქვთ შენ დანახვაზე?**

— ყველა გულთბილად მხვდება, მილოცავს და მადლობას მეუბნება, რაც ძალიან მსიამოვნებს. დაბოლოს ერთს ვიტყვი: ჩემი ჩემპიონობა დიდი შრომისა და მონდომების წყალობით მოხდა, თუმც ამ გამარჯვებაში წვლილი სხვა ადამიანებსაც მიუძღვით. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო პირველ მწვრთნელს, გურამ მაჭარაშვილს, ბეგი დარჩიას, ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელებს და ექიმებს, ვინც მუდამ მეხმარებოდა და მამხნევებდა.

**ლექსო მაისურაძე**



# US OPEN 2008

27 აგვისტო. ოთხშაბათი

### კაცები

#### პირველი წრე

ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3 6:3 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (5, რუსეთი) — დუდი სელა (ისრაელი) 6:3 6:3 6:3; ენდი როდიკი (8, აშშ) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2 6:2 6:2; ნიკოლას ალმაგრო (18, ესპანეთი) — ფრანკ დანცევიჩი (კანადა) 6:3 6:4 7:5; ჟო-ვილფრიდ ცონგა (19, საფრანგეთი) — სანტიაგო ვენტურა (ესპანეთი) 6:7 6:4 6:2 6:3; დმიტრი ტურსუნოვი (26, რუსეთი) — ედუარდო შვანკი (არგენტინა) 7:5 4:6 7:5 7:6; რადეკ შტეპანეკი (28, ჩეხეთი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 7:5 6:3 6:1; მარინ ჩილიჩი (30, ხორვატია) — ჟულიენ ბენეტუ (საფრანგეთი) 4:6 7:5 6:3 6:7 6:2; ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 7:6 6:3 2:6 6:3; სემ ვარბურგი (აშშ) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:2 1:0 (უარი); რობერტ კენდრიკი (აშშ) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 7:6 6:4 5:7 7:5; ერნესტ გულბისი (ლატვია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:5 6:1 7:6; კრის გუჩიონე (ავსტრალია) — ჯეს ლევაინი (აშშ) 6:3 3:6 7:6 7:6; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — ოსტინ კრაიჩეკი (აშშ) 6:2 6:2 6:1; რობი ჯინეპრი (აშშ) — ემირ დელიჩი (აშშ) 6:1 6:2 7:6; კარლოს მოია (ესპანეთი) — აისამ ულ-ჰაკ ქურეში (პაკისტანი) 6:4 6:7 7:6 6:2

### ქალები

#### მეორე წრე

ელენა იანკოვიჩი (2, სერბეთი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:3 6:7 7:5; სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) — სორანა კირსტეა (რუმინეთი) 7:6 6:1; ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — პაულინ პარმენტიე (საფრანგეთი) 6:2 6:1; ტატიანა პერებინისი (უკრაინა) — ვერა ზვონარიოვა (8, რუსეთი) 6:3 6:3; მარიონ ბარტოლი (12, საფრანგეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:4 6:2; ვიქტორია აზარენკა (14, ბელარუსი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:2 6:3; პატი შნიდერი (15, შვეიცარია) — ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი) 6:3 6:3; კაროლინ ვოზნიაცკი (21, დანია) — მარია კამერინი (იტალია) 6:1 6:2; ლინდსი დევენპორტი (23, აშშ) — ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) 7:5 6:3; ენ კეტავონგი (ბრიტანეთი) — ფრანჩესკა შიავონე (25, იტალია) 6:2 3:6 6:4; ჟი ჟენგი (ჩინეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (26, ესპანეთი) 6:1 6:4; კატარინა სრებოტნიკი (28, სლოვენია) — ივონ მეიზბურგერი (ავსტრია) 6:1 6:3; სიბილ ბამერი (29, ავსტრია) — არავან რეზაი (საფრანგეთი) 6:1 7:5; მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკეთი) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 6:1 6:2; ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 3:6 7:5 6:3; ნა ლი (ჩინეთი) — სარა ერანი (იტალია) 4:6 6:2 6:0

28 აგვისტო. ხუთშაბათი

### კაცები

#### მეორე წრე

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — რალერ დე ჰარტი (აშშ) 6:1 6:2 6:4; დავიდ ფერერი (4, ესპანეთი) — ანდრეას ბეკი (გერმანია) 4:6 7:5 6:3 7:6; ენდი მიურეი (6, ბრიტანეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 1:6 7:5 7:6; დავიდ ნალბანდიანი (7, არგენტინა) — ანდრეი გოლუბევი (ყაზახეთი) 6:2 6:4 6:2; ჯეიმს ბლეიკი (9, აშშ) — სტივ დარცისი (ბელგია) 4:6 6:3 1:0 (უარი); სტანისლას ვავრინკა (10, შვეიცარია) — უიენ ოდესნიკი (აშშ) 6:4 7:6 6:2; ივო კარლოვიჩი (14, ხორვატია) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 7:6 6:4 6:2; ჟილ სიმონი (16, საფრანგეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4 6:1 6:4; ხუან მარტინ დელ პოტრო (17, არგენტინა) — ტომაზ ბელუჩი (ბრაზილია) 4:6 6:1 7:5 6:3; მარდი ფიში (აშშ) — პოლ-ანრი მატიო (24, საფრნგეთი) 6:2 3:6 6:3 6:4; ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (25, გერმანია) 2:6 6:3 6:4 3:0 (უარი); გაელ მონფილზი (32, საფრანგეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:2 6:3 3:6 6:4; ფლავიო ჩიპოლა (იტალია) — იენ ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:1 4:6 7:6 6:4; კეი ნიშიკორი (იაპონია) — როკო კარანუსიჩი (სერბეთი) 6:1 7:5 (უარი); იურგენ მელცერი (ავსტრია) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:0 6:2 6:2; სემ ქუერეი (აშშ) — ნიკოლა დევილდერი (საფრანგეთი) 7:6 6:4 4:6 6:3

### ქალები

#### მეორე წრე

ჟული კოინი (საფრანგეთი) — ანა ივანოვიჩი (1, სერბეთი) 6:3 4:6 6:3; სერენა უილიამსი (4, აშშ) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:1 6:1; დინარა საფინა (6, რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:4 6:3; ვინუს უილიამსი (7, აშშ) — როსანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:0 6:3; აგნეშკა რადვანსკა (9, პოლონეთი) — მარიანა დიკე მარინო (არგენტინა) 6:0 7:6; ტატიანა გარბინი (იტალია) — აგნეს სჟავაი (13, უნგრეთი) 5:7 6:2 6:3; ფლავია პენეტა (16, იტალია) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:2 6:7 6:1; ალიზე კორნე (17, საფრანგეთი) — ბეტანი მატეკი (აშშ) 7:6 6:1; დომინიკა ციბულკოვა (18, სლოვაკეთი) — იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთი) 6:2 6:2; ნადია პეტროვა (19, რუსეთი) — სუ ვეი ჰსი (ტაივანი) 6:4 6:2; სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (20, ჩეხეთი) 7:5 6:3; ალიონა ბონდარენკო (27, უკრაინა) — საბინ ლისიცკი (გერმანია) 6:4 1:6 6:4; აი სუგიამა (30, იაპონია) — ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი) 4:6 7:6 6:1; ამელი მორესმო (32, საფრანგეთი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 2:6 6:4 6:0; ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) — ჯესიკა მური (ავსტრალია) 6:1 6:3; ტიმეა ბაჩინსკი (შვეიცარია) — იუნ იან ჩანი (ჩინეთი) 6:3 6:2



ანა ივანოვიჩი ნიუ იორკს ნაადრევად დაემშვიდობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

la vuelta'08

## 63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო-21 სექტემბერი

# ესპანური წრე ესპანელებისთვის




### 63-ე ლა ვუელტა ესპანას განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 აგვისტო | I ეტაპი (გუნდური რბოლა) | გრანადა | 7,7 კმ |
| 31 აგვისტო | II ეტაპი | გრანადა — ხაენი | 167,3 |
| 1 სექტემბერი | III ეტაპი | ხაენი — კორდობა | 168,6 |
| 2 სექტემბერი | IV ეტაპი | კორდობა — პუერტოლინო | 170,3 |
| 3 სექტემბერი | V ეტაპი (ინდ. რბოლა) | სიუდად რეალი | 42,5 |
| 4 სექტემბერი | VI ეტაპი | სიუდად რეალი — ტოლედო | 150,1 |
| 5 სექტემბერი | *დასვენების დღე* | | |
| 6 სექტემბერი | VII ეტაპი | ბარბასტრო — ლარაბასა (ანდორა) | 223,2 |
| 7 სექტემბერი | VIII ეტაპი | ესკალდესი (ანდორა) — პლადებერეტი | 151,0 |
| 8 სექტემბერი | IX ეტაპი | ვიელხა — საბინანიხო | 200,8 |
| 9 სექტემბერი | X ეტაპი | საბინანიხო — სარაგოსა | 151,3 |
| 10 სექტემბერი | XI ეტაპი | კალაპორა — ბურგოსი | 178,0 |
| 11 სექტემბერი | XII ეტაპი | ბურგოსი — სუანსესი | 186,4 |
| 12 სექტემბერი | *დასვენების დღე* | | |
| 13 სექტემბერი | XIII ეტაპი | სან ვისენტე — ალტო დე ლანგირუ | 209,5 |
| 14 სექტემბერი | XIV ეტაპი | ოვიედო — ფუენტეს დე ივიერნო | 158,4 |
| 15 სექტემბერი | XV ეტაპი | კუდილერო — პონფერადა | 202,0 |
| 16 სექტემბერი | XVI ეტაპი | პონფერადა — ზამორა | 186,3 |
| 17 სექტემბერი | XVII ეტაპი | ზამორა — ვალიადოლიდი | 148,2 |
| 18 სექტემბერი | XVIII ეტაპი | ვალიადოლიდი — ლას როზასი | 167,4 |
| 19 სექტემბერი | XIX ეტაპი | ლას როზასი — სეგოვია | 145,5 |
| 20 სექტემბერი | XX ეტაპი (ინდ. რბოლა) | ლა გრანხია — ალტო ნავასერადა | 17,1 |
| 21 სექტემბერი | XXI ეტაპი | დე ლოს რეიესი — მადრიდი | 102,2 |

**ხვალ** უძველეს ქალაქ გრანადაში 7,7-კილომეტრიანი გუნდური რბოლით დაიწყება და 21 სექტემბერს მადრიდში დასრულდება სეზონის მესამე და ბოლო სუპერრბოლა, რიგით 63-ე „ლა ვუელტა ესპანა“. ესპანური ველომარათონი ისტორიითა და პრესტიჟულობით კი ჩამოუვარდება უფროს ძმებს — ფრანგულ „ტურსა“ და იტალიურ „ჯიროს“, მაგრამ ბოლო წლებში ესპანელ მრბოლთა უზარმაზარი წარმატებების შემდეგ, „ვუელტა“ „ტურს“ ნამდვილად ვერა, მაგრამ „ჯიროსთან“ დატოლებას კი ცდილობს და საკმაოდ წარმატებითაც.

მომქანცველი სეზონი ბოლოა, უკვე ჩავლილია „ჯირო“, „ტური“ ოლიმპიური თამაშები, მრავალი ერთდღიანი თუ ერთკვირიანი რბოლა და სექტემბრის მიწურულს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის გათვალისწინებით, იყო იმის დიდი ალბათობა, რომ წლეულს „ვუელტასთვის“ სახელოვან მრბოლებს ზურგი ექციათ, მაგრამ ნურას უკაცრავად — ჯერ ერთი რომ, თანამედროვე ველოპელოტონში თუ ვინმეა სახელოვანი, ეს უპირველეს ყოვლისა ესპანელები არიან და მათ არ სჩვევიათ მშობლიური რბოლის იგნორირება; მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი — თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ველოგუნდი „ასტანა“ წლევანდელი „ტურიდან“ მოკვეთილი იყო და ლუქსემბურგში დარეგისტრირებული ყაზახური გუნდის შეფებმა ესპანეთში უძლიერესი შემადგენლობა იახლეს — „ჯირო“ ხომ მოვიგეთ, „ვუელტაც“ უნდა მოვიგოთ და ქვეყანას დავუმტკიცოთ, რომ წლევანდელმა „ტურმა“ უძლიერესი ველოგუნდის გარეშე ჩაიარაო.

მეორე საკითხია, თუ ამ მომქანცველი სეზონის მიწურულს როგორ ფორმაში იქნებიან უძლიერესი მრბოლები, ვთქვათ, იგივე კარლოს სასტრე, წლევანდელი „ტურის“ ტრიუმფატორი. ამ მხრივ, „ასტანა“ აშკარად მომგებიან პოზიციაშია და შარშანდელი „ტურისა“ და წლევანდელი „ჯიროს“ გამარჯვებული ალბერტო კონტადორი მესამე სუპერრბოლის მოგებასაც შეეცდება, მით უმეტეს, რომ მას ანდრეას კლოდენისა და ლევი ლეიფჰეიმერის სახით უმძლავრესი დახმარება ეყოლება.

თუმცა, სანამ ფავორიტებზე გადავიდოდეთ, ის გუნდები ჩამოვთვალოთ, რომლებიც წლევანდელ რბოლაში მიიღებენ მონაწილეობას. ასეთი სულ ცხრამეტია. მათგან ოთხი მასპინძელ ესპანეთს წარმოადგენს („კაის დეპარნი“, „ეუსკალტელი“, „ხასობე გალისია“, „კაია სურ ანდალუზია“); ხუთი გუნდი ფრანგულია — „ფრანსაიზ დე ჟუ“ AG2R, „ბუჟ ტელეკომი“, „კოფიდისი“, „კრედიტ აგრიკოლი“; ორი გერმანული — „გეროლშტაინერი“, „მილრამი“; ორი ბელგიური — „ქვიკ სტეპი“, „ლოტო“; ორი იტალიური — „ლიქუიგასი“, „ლამპრე“; თითოც ყაზახურ-ლუქსემბურგული — „ასტანა“, რუსული — „ტინკოფი“, ჰოლანდიური — „რაბობანკი“ და დანიური — CSC.

სწორედ CSC-ის ლიდერი გახლავთ კარლოს სასტრე, მაგრამ „ტურისგან“ განსხვავებით, „ვუელტაზე“ CSC ისეთი მძლავრი არ იქნება. არ იქნებიან ლუქსემბურგელი ძმები ფრენკ და ენდი შლეკები და სასტრეს მარტოს მოუწევს ბრძოლა.

„ასტანას“ ხალხს კონკურენციას უფრო „კაის დეპარნი“ გაუწევს, რომლის ლიდერი ალეხანდრო ვალვერდე კიდევ ერთხელ შეეცდება მისთვის დღემდე დაუპყრობელი მწვერვალის დაპყრობას და სამკვირიანი ველომარათონის მოგებას. საკმაოდ მძლავრი შემადგენლობა ჰყავს ბასკურ „ეუსკალტელს“ და თუ შეთანხმებულად იმოქმედებენ, იგორ ანტონს, ან მიგელ ასტარლოას ნამდვილად ექნებათ წარმატების შანსი.

საეჭვოა, ფრანგული გუნდებიდან ვინმე საჩემპიონოდ გაიქაჩოს, თუმც, გარკვეულ სიურპრიზებს, ალბათ სანდი კასარისა („ფრანსაიზ დე ჟუ“) და სილვენ შავანელისგან („კოფიდასი“) უნდა ველოდოთ. „ვუელტას“ შარშანდელი და 2005 წლის ჩემპიონი, რუსი დენის მენშოვი ამ ჯერზე ტიტულს არ დაიცავს და შესაბამისად, „რაბობანკი“ ცალკეულ ეტაპებსა და ოსკარ ფრეირეზე გააკეთებს აქცენტს.

იგივე ითქმის „მილრამისა“ და ერიკ ცაბელის შესახებ. აი, მეორე გერმანული გუნდი „გეროლშტაინერი“ კი ესპანეთში საკმაოდ მძლავრი შემადგენლობით ჩავიდა და „ტურის“ შემდეგ ძალები თუ კიდევ შერჩათ, იქნება, სებასტიან ლანგმა და შტეფან შუმახერმა შემოგვთავაზონ სიურპრიზები.

კედელ ევანსის არყოფნაში „ლოტო“ უკრაინელ იაროსლავ პოპოვიჩზე გააკეთებს აქცენტს, „ქვიკ სტეპი“ პაოლო ბეტინისა და ტომ ბოონენის ხარჯზე, რაც შეძილება ბევრი ეტაპის მოგებას შეცდება და არის კიდევ „ლამპრე“ თავისი დამიანო კუნეგოთი და „ტურზე“ იმედგაცრუების შემდეგ იტალიელმა იქნება „ვუელტაზე“ გამოიჩინოს თავი.

საბოლოო ჯამში კი, ჩვენი ვარაუდით, ყველაფერი კონტადორ-ვალვერდეს დუელამდე უნდა დავიდეს. ამ დუელში კი, დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ უპირატესობა კონტადორის მხარეს უნდა იყოს.

ორიოდე სიტყვა მარშრუტის შესახებ. როგორც თავშივე ვთქვით, „ვუელტა“ გუნდური რბოლით გაიხსნება. ამას გარდა, ორი ინდივიდუალური რბოლაცაა — მე5 ეტაპზე 42,5-კილომეტრიანი და ბოლოწინა, მე-19 ეტაპზე 17,1-კილომეტრიანი სამთო ინდივიდუალური რბოლა აღმართში ფინიშით. დანარჩენი 18 ეტაპიდან 10 ბარისაა, ერთი საშუალო მთიანეთში გაივლის და შეიდიც სამთოა, აქედან ოთხი აღმართში ფინიშით. სულ კი რიგით 63-ე „ვუელტა ესპანას“ სიგრძე 3133,8 კილომეტრი გახლავთ.



# ნუ გააბრაზებთ ოსალივანს

**ბელფასტში,** სადაც სნუკერისტთა 2008-09 სეზონის პირველი სარეიტინგო შეჯიბრი, ჩრდილოეთ ირლანდიის ალაფი მიმდინარეობს, მეოთხედფინალების ჯერი დადგა და მთავარი ამბები ახლა დაიწყება.

წინა ორი დღის მოვლენებიდან კი მსოფლიოს ჩემპიონის, რონი ოსალივანის ორი გამარჯვება გამოვყოთ. მეორე წრეში რონი 2:4-ს აგებდა მსოფლიოს ექსჩემპიონთან, ირლანდიელ კენ დოჰერტთან, მაგრამ თითქოსდა გამოუვალ სიტუაციაში მყოფი დაჭრილი ვეფხვივით გამწარდა და ზედიზედ სამი ფრეიმი და, შესაბამისად, მატჩი მოიგო. მესამე წრეში „რაკეტას“ მეტოქედ თავისი თანამემამულე ჯო პერი ჰყავდა და ამ ჯერზე პრობლემები აღარ შექმნია — 5:3 და ოსალივანი მეოთხედფინალშია, სადაც კიდევ ერთ თანამემამულეს ბარი ჰოუკინსს ხვდება. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ჯერ ჰონკონგელ მარკო ფუს მოუგო 5:2, შემდეგ კი 5:3 დაჯაბნა უელსელი რაიან დეი.

ოსალივანსა და ჰოუკინსს შორის გამარჯვებული ნახევარფინალში ტურნირის მასპინძელ მარკ ალენსა და ინგლისელ ალისტერ კარტერს შორის საუკეთესოზე გავა. კარტერმა გზად ორი თანამემამულე, რორი მაკლეოდი (5:1) და მარკ დევისი (5:2) ჩამოიცილა, ხოლო ალენმა უელსელებს აჯობა — დომინიკ დეილის (5:4) შემდეგ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მარკ უილიამსი (5:3) დაამარცხა.

სატურნირო ბადის ზედა ნახევარს რაც შეეხება, იქ სავარაუდოდ შოტლანდიურ ნახევარფინალს მივიღებთ, რადგანაც დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის მოქმედი ჩემპიონი სტივ მაგუაერი ინგლისელ დეივ ჰეროლდს მოუგებს, ხოლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჯონ ჰიგინსი კიდევ ერთ ინგლისელს, იან მაკალოჰს დაჯაბნის.

მესამე წრეში მაგუაერმა მძაფრ ბრძოლაში 5:4 მოუგო თავის თანამემამულე ალან მაკმანუსს, ჰიგინსმა კი 5:1 გაანადგურა ჩინელი ლიან ვენბო. ჰეროლდმა და მაკალოჰმა კი თანამემამულენი დაამარცხეს და, თუ ჰეროლდის მიერ სტივ ლის 5:4 ძლევა ბევრს არ გაკვირვებია, მაკალოჰის მარკ სელბისთან 5:4 გამარჯვება ნამდვილად მოულოდნელი იყო.


რონი ოსალივანი

# მოტივაცია: გაზპრომმა მანჩესტერს სუპერობა წაართვა

ევროპის სუპერთასი, რომელიც ტრადიციულად მონაკოს „ლუი მეორეზე“ გათამაშდა, უფრო მოტივირებულმა გუნდმა მოიგო.

ალექს ფერგიუსონმა კრიშტიანუ რონალდუც არ ათამაშა და როგორც BBC იუწყება, ფერგიუსონი თამაშის მსვლელობისას, ვინძლო დიმიტარ ბერბატოვის ტრანსფერზე ფიქრობდაო.

**მანჩესტერი 1:2 ზენიტი**

0:1 პოგრებნიაკი (44), 0:2 დანი (59), 1:2 ვიდიჩი (73)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი (ბრაუნი 76), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ფლეტჩერი (პარკი 60), ანდერსონი (ოში 60), სქოულზი, ნანი, რუნი, ტევესი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაჩი (რადიმოვი 71), ანიუკოვი, პუიგრენიერი (შიროკოვი 62), შირლი, ზირიანოვი, დანი, დენისოვი, ტიმოშჩუკი, პოგრებნიაკი, დომინგუში (არშავინი 46)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

გაფრთხილება: სქოულზი, ანდერსონი, ტევესი, სქოულზი

გაძევება: სქოულზი (90)

მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)


პოგრებნიაკის გოლი

## საფრანგეთი

II ლიგა

აიაჩო 4:0 ვანი
ამიენი 2:0 რეიმსი
ანჟერი 1:2 ბრესტი
ბულონი 3:0 დიჟონი
გეგნამი 1:1 სედანი
ტური 0:1 ბასტია
ლანსი 2:1 კლერმონი
სტრასბური 2:1 შატორუ
ტრუა 0:1 ნიმი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა

კონკორდია 1:3 თუნი

## თურქეთი

სუპერლიგა

ანკარა 1:2 ტრაბზონი

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი

ბრეი 2:1 დუბლინი
დერი 1:0 ფინი
შემროკი 3:0 კორკი

## რუსეთი

პრემიერლიგა

ხიმკი 0:0 შინიკი

## უკრაინა

ვიშა ლიგა

ლვოვი 0:1 არსენალი

## ჰოლანდია

იუპილერლიგა

აპელდორნი 2:3 ეძელსიორი
კამბური 6:2 ემენი
დენ ბოსხი 1:3 მაასტრიხტი
დორდრეხტი 0:1 ვალვაიკი
იგლზი 1:0 ომნივორდი
ჰელმონდი 4:3 ეინდჰოვენი
ვენდამი 3:2 როზენდალი
ვენლო 1:1 ზვოლე

## სლოვენია

I ლიგა

ნოვა გორიცა 2:1 პუბლიკუმი

## ამხანაგური მატჩები

უზბეკეთი 0:0 ჩრდ. კორეა
საამიროები 2:3 ბაჰრეინი

## გერმანია

I ბუნდესლიგა

კარლსრუე 0:2 კიოლნი

II ბუნდესლიგა

დუისბურგი 2:0 აუგსბურგი
ინგოლშტადტი 1:3 ლაუტერნი
მაინცი 4:2 ოსნაბრიუკი

III ბუნდესლიგა

ბაიერნი (მ) 2:1 კარლ ცაისი

## ბელგია

იუპილერლიგა

ტუბიცე 1:4 ბრიუგე

## პორტუგალია

სუპერლიგა

ბელენენსეში 2:2 ფერეირა

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა

კაპფენბერგი 3:2 ალტახი

I დივიზიონი

აუსტრია (მ) 2:1 გრატკორნი
ადმირა 1:2 ტიროლი
ზალცბურგი 1:1 ლეობენი
სტ. პოლტენი 1:3 ნეუშტადტი
გრიდიკი 1:1 ციკლებურკი

## უელსი

პრემიერლიგა

აირბუსი 4:3 კირნარფორი
კარმარტენი 5:2 ატლეტკი
ტნს 2:0 პრესტატინი

## ჩეხეთი

II ლიგა

დუკლა 0:0 სლოვაცკო
მოსტი 2:1 ფულნეკი
ჭიჰლავა 1:1 კრალოვე

## პოლონეთი

I ლიგა

ბელ[illegible]ატუვი 0:2 ლოძი
პოლონია 3:0 ვროცლავი


წუხელ ბუნდესლიგაში: პეტიტის (მარჯვნივ) „კიოლნმა“ კენედის „კარლსრუე“ მისსავე მოედანზე დაამარცხა

# კრისი და ჩელსი

## ვინ გაიბრწყინა გრიმალდი ფორუმში?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ დიდი ვარსკვლავი, ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების გამარჯვებული, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ უეფამ მონაკოში წლის საუკეთესო საკლუბო ფეხბურთელად დაასახელა.

დაჯილდოვების ამავე ცერემონიალზე რონალდუმ საუკეთესო თავდამსხმელის პრიზიც მიიღო, რითაც ცოტა გული გამოუკეთა „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელმაც, მართალია, გასულ სეზონში „ჩელსის“ ყველა შეჯიბრებაში აჯობა, მაგრამ როდესაც საქმე ცალკეულ ვარსკვლავთა გამორჩევაზე მიდგა ასეთი სურათი გამოიკვეთა: საუკეთესო მეკარე — პეტრ ჩეხი, საუკეთესო მცველი — ჯონ ტერი და საუკეთესო ნახევარმცველი — ფრენკ ლამპარდი...

კრიშტიანუ რონალდუსთვის გასული სეზონი მართლაც საგანგებო იყო — ჩემპიონთა ლიგის ფინალში გატანილი გოლი მისთვის, ყველა შეჯიბრებაში ერთად თუ დავთვლით, 42-ე გამოდგა, რაც ფენომენალური შედეგია. ამ გოლებიდან 8 რონალდუმ ჩემპიონთა ლიგის თამაშებში შეაგდო და შეჯიბრების საუკეთესო მეგოლეც გახდა. პორტუგალიელმა მიიღო ESM-ის „ოქროს ბუციც“, რაც პრემიერლიგაში შეგდებული 31 გოლის დაფასება გახლდათ.

„დიდ ფეხბურთელთა სიაში მოხვედრა საოცარი სიამოვნებაა — თქვა რონალდუმ მადლობის ნიშნად — ასეთი დიდი ჯილდოს მიღება ჩემთვის დიდი პატივია. ჩემპიონთა ლიგის მოგება, რასაკვირველია, ბრწყინვალე შედეგია, მაგრამ საუკეთესო ფეხბურთელობა თავისთავად დიდებული გახლავთ“.

ალსანიშნავია, რომ კრიშტიანუ რონალდუ მეორე მანჩესტერელია, რომელმაც ხსენებული პრიზი მიიღო. პირველი გახლდათ დევიდ ბექემი, რომელიც 1999 წელს დააჯილდოვეს. 2003 წელს კიდევ ერთი მანჩესტერელი, რუუდ ვან ნისტელროოი ავიდა მონაკოს „გრიმალდი ფორუმის“ სცენაზე, მაგრამ მას საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო არ მიუღია, მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო თავდამსხმელობას დასჯერდა. კითხვაზე, რა არის მისი წარმატების საიდუმლო, რონალდუმ მიუგო: „მუშაობა!“

**პაპუნა ძიძია**


ჯონ ტერი, კრიშტიანუ რონალდუ, ფრენკ ლამპარდი და პეტრ ჩეხი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge